შეწოვა განხილული უნდა იქნეს არა როგორც დამოუკიდებელი პროცესი, რომელიც არაა დამოკიდებული გაჯირჯევაზე, არამედ, როგორც გაჯირჯევის პირველი სტადია. გაჯირჯევის განვითარების ხასიათის მიხედვით (ამ დროს), ადგილი აქვს სტრუქტურის გარდაქმნას, ფორების დაშლას და ნაწილაკების გადაწყობას. მწირ დილეგანტურ მინერალებში ეს პროცესი ვლინდება საკმარისად მკაფიოდ. შეწოვა უფრო მეტად ვლინდება პლასტიკურ სხეულებში, სადაც ადგილი აქვს მათ დაჯდომას (შეკლებას). ამ სხეულებში საწყისი შეკლება შენიღბულია, ჰიდრატაციის შედეგად კი სხეულები იზრდება მოცულობაში; ამასთან, წარმოიქმნება ახალი სტრუქტურები, რომლებიც ახლოა იმ სტრუქტურებთან სუსპენზიებში, რომელიც ადრეა წარმოქმნილი და მათგან განსხვავდება კონტაქტების სიხშირით. ასეთ სისტემებში ფორიანობა არ არსებობს. მასში არსებული იმობილიზებული წყალი წარმოადგენს თიხის ნაწილაკების სიღრმითი ზონების შემდგომი ჰიდრატაციის წყაროს. ეს სისტემა თერმოდინამიკურად გაწონასწორებულია. ჰიდრატაციის შედეგად წარმოშობილი წყლის დეფიციტი შეივსება გარემოდან ოსმოსური ძალების მეშვეობით [4]. ამრიგად, წყლის კაპილარული შეწოვა თიხურ ქანებში წარმოებს კაპილარული წნევის ზემოქმედებით:

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h} \cos\theta_1, \quad (1)$$

სადაც σ_{12} წყლის ზედაპირული დაჭიმულობა; θ -დასველების კუთხე; h -კაპილარის სიგანე.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება ინჰიბირებული საბურღი ხსნარი, რომელსაც აქვს θ_1 დასველების კუთხე და σ'_{12} ზედაპირული დაჭიმულობა. ინჰიბირებული საბურღი ხსნარის თიხურ ქანებთან კონტაქტის დროს წარმოიქმნება კაპილარული წნევა:

$$P_1 = \frac{2\sigma'_{12}}{h \cos\theta_1}, \quad (2)$$

მაშინ

$$\frac{P}{P_1} = \frac{\sigma_{12} \cos\theta}{\sigma'_{12} \cos\theta_1}. \quad (3)$$

თიხური ქანის წყალთან კონტაქტის θ დასველების კუთხე ნულის ტოლია, მაშინ $\cos 0^\circ = 1$, აქედან გამომდინარე

$$\frac{P}{P_1} = \frac{\sigma_{12}}{\sigma'_{12} \cos\theta_1}. \quad (4)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წნევის ზემოქმედებით თიხური ქანების ფორებში შეწოვილი საბურღი ხსნარის ფილტრატის მასა პროპორციულია ტენზონტექმის მასისა, მაშინ

$$\frac{p}{P_1} = \frac{m}{m_1}. \quad (5)$$

აქედან

$$\frac{m}{m_1} = \frac{\sigma_{12}}{\sigma'_{12} \cos\theta_1}, \quad (6)$$

სადაც m ხსნარის მასაა, რომელიც შთანთქმება თიხური ქანის მიერ დისტილირებულ წყალთან კონტაქტის დროს; m_1 -წყლის მასა, რომელიც შთანთქმება თიხური ქანის მიერ ინჰიბირებულ საბურღი ხსნართან კონტაქტის დროს, რომელსაც აქვს დასველების კუთხე θ_1 , და ზედაპირული დაჭიმულობა σ'_{12} .

ამრიგად,

$$m_1 = m \frac{\sigma'_{12} \cos\theta_1}{\sigma_{12}}.$$

მოცემულ ფორმულაში m მუდმივი სიდიდეა კონკრეტული ტიპის თიხური ქანისათვის. თიხურ ქანებზე დასველების კიდურა კუთხის გაზომვა შეუძლებელია, ამიტომ მიღებულია დაშვება, რომ თიხის ნაწილაკების ზედაპირზე დასველების კიდურა კუთხე იცვლება ისევე, როგორც მინის ზედაპირზე.

ცნობილია, რომ ელექტროლიტების დამატება პრაქტიკულად არ ცვლის წყლის ზედაპირულზე დაჭიმულობას, ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ $\sigma'_{12} \approx \sigma_{12}$.

აქედან გამომდინარე, ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$m_1 = m \cos\theta_1.$$

ჩვენ მიერ ჩატარებული თეორიული გამოკვლევებით დადასტურდა მოსაზრება, რომ წყლის მასა, რომელიც შთანთქმულია თიხური ქანის მიერ ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით დამუშავებულ საბურღი ხსნარებთან კონტაქტის დროს ტოლია:

$$m_1 = m \frac{\sigma'_{12} \cos\theta}{\sigma_{12}}.$$

ხოლო წყლის მასა, რომელიც შთანთქმულია თიხური ქანის მიერ ელექტროლიტებით დამუშავებულ საბურღი ხსნარებთან კონტაქტის დროს გამოიანგარიშება ტოლობით:

$$m_1 = m \cos\theta_1.$$

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების დამატება წყალსა და საბურღი ხსნარებში ამცირებს ხსნარების დასველების უნარს და არეგულირებს ზედაპირულ დაჭიმულობას. ამ ხსნარებზე სხვადასხვა ტიპის ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების დამატება სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენს მათ დასველებასა და ზედაპირულ დაჭიმულობაზე, ხოლო ელექტროლიტების დამატება წყალსა და ხსნარებში ამცირებს დასველებას. რაც შეეხება ზედაპირულ დაჭიმულობას, ეს სიდიდე (ელექტროლიტების დამატებით) პრაქტიკულად არ იცვლება.

3. დასკვნა

ამრიგად, თიხური ქანების გატენიანება და შემდგომ გაჯირჯვება გამოწვეულია ფორებში წყლის შეწოვის შედეგად. ამ პროცესს ახლავს ქანების ფორების შიგა ზედაპირების დასველება და შიგა სტრუქტურული შეკავშირების შესუსტება. გაჯირჯვება თიხის აგრეგატების პეპტიზაციის ძირითადი მიზეზია, რომელიც ამზადებს მათ გადასვლას სუსპენზიურ მდგომარეობაში, შეწოვა კი კაპილარული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დისპერსიული გარემოს შეღწევას ფორებში და მათი შიგა ზედაპირების დასველებას. ჭაბურღილების ბურღვისას თიხური ქანების გაჯირჯვების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მანიპულირებელი დანამატებით დამუშავებული საბურღი ხსნარების გამოყენება.

ლიტერატურა

1. ნ. აბესაძე. ნავთობისა და აირის ჭაბურღილების ბურღვა. თბილისი: განათლება, 1993.
2. Булатов А. И, Пенков А. И., Проселков Ю. М. Справочник по промывке скважин. М.: Недра, 1984.
3. Бадовский Н. А., Файман В. П. Борьба с осложнениями при бурении глубоких скважин за рубежом. М., 1986.
4. გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, მ. ასათიანი. ინჰიბირებული საბურღი ხსნარების გავლენის შესწავლა თიხური ქანების მდგრადობაზე ჭაბურღილების ბურღვისას// საქართველოს ნავთობი და გაზი №24, თბილისი, 2009.

УДК 622.244

Г.Х. Варшаломидзе, В. Э. Хитаришвили, М. О. Асатиани

ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ СМАЧИВАЮЩЕЙ СПОСОБНОСТИ ФИЛЬТРАТОВ БУРОВЫХ РАСТВОРОВ НА ВЛАГОПОГЛОЩЕНИЕ ГЛИНИСТЫХ ПОРОД

РЕФЕРАТ: При бурении глинистых пород породоразрушающий инструмент создает микротрещины, при контакте фильтрат буровых растворов проникает в микротрещины и увлажняет глинистую породу. Чем лучше смачивает фильтрат глинистую породу, тем большая масса раствора будет ею поглощена. Этот процесс вызывает набухание пород. Теоретически исследовано влияние фильтрата бурового раствора на влагопоглощение глинистых пород. На основе этого делается заключение, что при бурении скважин для предупреждения набухания глинистых пород при контакте с буровым раствором необходимо применение растворов, обработанных ингибированными добавками.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: фильтрат бурового раствора; проницаемость; набухание; влагопоглощение.

1. Введение

При внедрении породоразрушающего инструмента в глинистую породу в самый начальный момент образования новой поверхности (стенки скважины) поры глинистой породы еще не заполнены водой. Слабоувлажненная глинистая порода ведет себя как монолит, но сразу же начинается физико-химическое взаимодействие фильтрата буровых растворов с вновь образованной поверхностью. Начинается проникновение воды в поры глинистой породы. В результате работы породоразрушающего инструмента образуются микротрещины, которые также являются каналами для попадания влаги в глинистую породу.

Таким образом, при контакте фильтрата с вновь образовавшейся поверхностью глинистой породы под действием капиллярных сил фильтрат промывочной жидкости по порам и микротрещинам проникает в пространство между микроагрегатами, увлажняя глинистую породу.

2. Основная часть

Чем лучше смачивает фильтрат глинистую породу, тем большая масса жидкости будет ею поглощена (тем больше будет степень заполнения пор водой). Процесс капиллярного всасывания продолжается до достижения равновесия, после чего начинаются вторичные процессы – осмотическое поглощение влаги, приводящее к набуханию и диспергированию глин.

Если фильтрат представляет из себя воду, то поглощение воды пристволенной зоной будет максимальным, если же фильтрат промывочной жидкости будет содержать в себе ингибирующие добавки, то масса поглощенного раствора будет меньше (за счет уменьшения смачивания).

Очевидно, что применение буровых растворов, обработанных растворами электролитов, не предотвращает разрушения стенок, а только уменьшает интенсивность осыпей и обвалов.

Данное утверждение подтверждается и исследованиями набухания глин в различных средах. В растворах электролитов и поверхностно-активных веществ по сравнению с водой набухание уменьшается, но все-таки имеет место [1-3].

Увеличение влажности глин происходит путем всасывания воды и развития набухания. Это сопровождается разрастанием полимолекулярных слоев и ослаблением внутримолекулярных связей. Набухание является основной причиной пептизации глинистых агрегатов, подготавливающей переход их в суспензированное состояние при избытке воды.

Всасывание является капиллярным механизмом, обеспечивающим проникновение дисперсионной среды, вытеснение воздуха из пор, смачивание внутренних поверхностей раздела, размягчение контактов между частицами. В открытых порах всасывание определяется капиллярными силами, а закрытых – развивается адгезионное (капиллярное) давление. Как и обычное смачивание, всасывание осложнено гистерезисными явлениями, влиянием дисперсности и пористости, полярностью поверхностей, их загрязненностью и т. п. Результатом этого является растягивание процесса во времени и трудность достижения равновесных состояний.

По мере развития набухания происходит перестройка структуры, разрушение пор и переукладка частиц, сопровождающаяся усадкой. У тощих, дилатантных минералов это проявляется достаточно отчетливо. У более пластичных объектов первоначальная усадка маскируется, а затем в результате гидратации с избытком перекрывается увеличением объема. При этом возникает новая структура, близкая к той, которая имеет место в суспензии, и отличающаяся от нее лишь частотой контактов. К такой системе понятие пористости уже не применимо. Присутствующая в ней иммобилизованная вода служит источником дальнейшей гидратации глубинных зон глинистых частиц. Система эта является термодинамически равновесной. Возникающий в результате гидратации дефицит воды в ней восполняется из окружающей среды осмотическими силами [4].

Итак, капиллярное всасывание воды в глинистую породу происходит под действием капиллярного давления:

$$P = \frac{2\sigma_{12}}{h} \cos\theta_1, \quad (1)$$

где σ_{12} -поверхностное натяжение воды; θ -угол смачивания; h -ширина капилляра.

В случае, когда применяется ингибированная промывочная жидкость, имеющая угол смачивания θ_1 и поверхностное натяжение σ'_{12} , при контакте с той же глинистой породой будет возникать капиллярное давление:

$$P_1 = \frac{2\sigma'_{12}}{h} \cos\theta_1, \quad (2)$$

тогда

$$\frac{P}{P_1} = \frac{\sigma_{12} \cos \theta}{\sigma'_{12} \cos \theta_1} \quad (3)$$

Угол смачивания θ при контакте глинистой породы с водой считаем равным 0, тогда

$$\frac{P}{P_1} = \frac{\sigma_{12}}{\sigma'_{12} \cos \theta_1}, \quad (4)$$

или

$$\frac{m}{m_1} = \frac{\sigma_{12}}{\sigma'_{12} \cos \theta_1}, \quad (5)$$

где m -масса жидкости, поглощенная глинистой породой при контакте с дистиллированной водой; m_1 -масса воды, поглощенная глинистой породой при контакте с фильтратом ингибированной промывочной жидкости, имеющей угол смачивания θ_1 и поверхностное натяжение σ'_{12} .

Таким образом, $m_1 = m \frac{\sigma'_{12} \cos \theta}{\sigma_{12}}$. В данной формуле m - постоянная величина для конкретного типа глинистой породы.

Но измерение краевого угла смачивания на глинистых породах невозможно, поэтому примем допущение о том, что на поверхности глинистой частицы краевой угол меняется так же как и на поверхностях стекла.

Известно, что добавление минеральных солей практически не изменяет поверхностное натяжение воды, поэтому можно считать, что $\sigma'_{12} \approx \sigma_{12}$. Исходя из этого, формула (5) примет такой вид:

$$m_1 = m \cos \theta. \quad (6)$$

На основе приведенных теоретических исследований подтверждается мнение о том, что масса воды, которая поглощена глинистой породой при контакте с буровыми растворами, обработанными ПАВ, равна:

$$m_1 = m \frac{\sigma'_{12} \cos \theta}{\sigma_{12}}.$$

Но массу воды, которая поглощена глинистой породой при контакте с буровыми растворами, обработанными электролитами, можно рассчитать по формуле

$$m_1 = m \cos \theta.$$

Из вышеизложенного видно, что добавление ПАВ в воду буровых растворов снижает способность смачиваемости жидкости и регулирует поверхностное натяжение, но добавление электролитов в воду и растворы снижает их смачиваемость, а что касается поверхностного натяжения, то эта величина добавлением электролитов практически не изменяется.

3. Заключение

Таким образом, увлажнение и набухание глинистых пород вызвано путем всасывания в поры. В то же время происходит смачивание внутренних поверхностей пор и снижение внутрискелетных связей. Набухание является основной причиной пептизации глинистых агрегатов, подготавливающей переход их в суспензированное состояние. Всасывание является капиллярным механизмом, обеспечивающим проникновение дисперсионной среды в поры. При бурении скважин для предупреждения набухания глинистых пород необходимо применение буровых растворов, обработанных ингибированными добавками.

Литература

1. ნ. აბესაძე. ნავთობისა და აირის ჭაბურღილების ბურღვა. თბილისი: განათლება, 1993.
2. Булатов А. И, Пенков А. И., Проселков Ю. М. Справочник по промывке скважин. М.: Недра, 1984.
3. Бадковский Н. А., Файман В. П. Борьба с осложнениями при бурении глубоких скважин за рубежом. М., 1986.
4. გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, მ. ასათიანი. ინჰიბირებული საბურღი ხსნარების გავლენის შესწავლა თიხური ქანების მდგრადობაზე ჭაბურღილების ბურღვისას// საქართველოს ნავთობი და გაზი №24, თბილისი, 2009.


ენერჯის განახლებადი წყაროები

რეზიუმე: ნაშრომში წარმოდგენილია განახლებადი ენერჯის უხვი წყაროები დედამიწის, მზის და პლანეტების სივრცეში, როგორც პირველადი ენერჯია და მათი გარდაქმნის ტექნიკური საშუალებები.

კერძოდ, მოყვანილია სინათლის ენერჯის ფოტოვოლტური გარდაქმნები აკუმულატორულ ბატარეასთან ერთად, რომელიც საშუალებას გვაძლევს ინვერსირებადი გზით მივიღოთ 220 ვოლტი, სიმძლავრით 2,5-3 კვტ-მდე. იგი დღეისათვის ეკონომიური და ეკოლოგიურად სუფთა სისტემაა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მცირე დასახლებულ პუნქტებში, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში, მილსადენების დაცვის და სასიგნალო ელექტრომომარაგების სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერჯია; ფოტოვოლტური გარდაქმნელი; ინვერტორი.

შესავალი



ირაკლი გოგუაძე,

საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სტუ-ის „ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის“ მიმართულებების ხელმძღვანელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი

ენერჯის განახლებად წყაროებს წარმოადგენს დედამიწა, მზე და პლანეტები, რომლებიც უხვად იძლევიან ენერჯიას, რომელიც უნდა გარდაქმნათ ელექტრულ ენერჯიად და ცხოვრებაში გამოვიყენოთ.

1-ელ ნახ-ზე წარმოდგენილია ენერჯის განახლებადი წყაროები, რომელთა გამოყენება დღევანდელი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საშუალებით თავისუფლად შესაძლებელია. ჯერჯერობით გვინდა წარმოგიდგინოთ მზის ენერჯის გარდაქმნა ელექტროენერჯიად, რომელშიც გამოყენებულია კადმიუმის შემცველი

ფოტოელემენტები, რომელთა მიერ წარმოქმნილი ელექტროენერჯია მართალია მცირე სიდიდისაა, მაგრამ საშუალებას გვაძლევს გარდაქმნულით მივიღოთ ის სიმძლავრე, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს ყოველმა ოჯახმა პირადი მოხმარებისთვის. მე-2 ნახ-ზე მოყვანილია ელექტრომომარაგების სისტემის ზოგადი სქემა, რომელიც წარმოადგინა ფირმა Self-Contained Power Super System-მა [1].


მზის სინათლის ენერჯის ფოტოვოლტური გარდაქმნელები და აკუმულატორების ბატარეა ერთად წარმოადგენს მცირე სიმძლავრის ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროს, რომელიც შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული მცირე სიმძლავრის ელექტრული ენერჯის ისეთ მომხმარებლებისათვის, რომლებიც დიდი




შ. ნემსაძე,

ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფ., სტუ-ის ელექტროტექნიკისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების დიაგნოსტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ენერგიის განახლებადი წყაროები




ნახ. 1. განახლებადი ენერგიის წყაროები ძირითადი ნაწილი



ნახ. 2. ელექტრომომარაგების ავტონომიური სისტემა Self-Contained Power Super System


მანძილითაა დაშორებული ელექტრული ენერჯის სადისტრიბუციო ქსელიდან. მათი ამ ქსელიდან ენერჯით კვება დიდ ტექნიკურ სირთულესთანაა დაკავშირებული და ეკონომიკურად გაუმართლებელია. ასეთებია: მცირერიცხოვანი დასახლებები, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საკომუნიკაციო სისტემის ცალკეული ობიექტები, სასიგნალო აპარატურა, რადიოშუქურები და სხვა. ასეთი ტიპის მომხმარებელთა ელექტრული ენერჯით უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ მუდმივი დენით, 12-24V ძაბვით ან ერთფაზა ცვლადი დენით 220V ძაბვაზე.



ნახ.3. მზის სინათლის ენერჯის ელექტრულ ენერჯიად გარდამქმნელი პანელი

ცვლადი დენის მომხმარებლების, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის ცვლადი დენის ენერჯით უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს წყაროს მუდმივი დენის ცვლად დენად გარდაქმნის გზით, ინვერტორის გამოყენებით [2].

აკუმულატორების ბატარეა წარმოადგენს ძაბვის წყაროს მცირე შიგა წინაღობით. ამიტომ, გარდაქმნისას გამოყენებული უნდა იქნეს ძაბვის ავტონომიური ინვერტორი, რომლის პრინციპული სქემა მოცემულია მე-4 ნახ-ზე. იგულისხმება, რომ ცვლადი დენის ენერჯის მომხმარებელია საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ამიტომ ინვერტორის დატვირთვა აქტიურ-ინდუქციურია.



ნახ.4. ძაბვის ავტონომიური ინვერტორის ელექტრული სქემა

ნახაზზე D_1 არის მზის სინათლის ენერჯის ფოტოვოლტური ნახევარგამტარული გარდამქმნელი, აკუმულატორების ბატარეის ელექტრომაგნიტური ძალაა. ძაბვის წყაროს პარალელურად ჩართულია დიდი ტევადობის კონდენსატორი C . ინვერტორში გამოყენებულია ბაგირული სქემა, რომელიც მიერთებულია R_H, L_H დატვირთვასთან. მასში ცვლადი დენი მიიღება მისი პერიოდული მიერთებით მუდმივი ძაბვის წყაროსთან, რაც ხორციელდება $VS3-VS4$ ტირისტორების საშუალებით. $VS1$ და $VS2$ ტირისტორების ჩართვისას დატვირთვაში დენს ერთი მიმართულება აქვს. მათი ჩაკეტვის შემდეგ დატვირთვაში დენი ინარჩუნებს მიმართულებას $VD3$ და $VD4$ დიოდების საშუალებით.

დატვირთვაში $VS3$ და $VS4$ ტირისტორებს ჩართვისას დენს აქვს საწინააღმდეგო მიმართულება, რომელსაც ინარჩუნებს ტირისტორების ჩაკეტვის შემდეგაც, $VD1$ და $VD2$ დიოდების საშუალებით.

პრაქტიკულად რეალიზებული მცირე სიმძლავრის ავტონომიურ ენერჯის სტემაში გათვალისწინებულია მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის ხარისხის უზრუნველყოფა ენერჯის პარამეტრების რეგულირებისას და სტაბილიზაციის დამატებითი საშუალებების გამოყენებით.

დასკვნა

მცირე სიმძლავრის ავტონომიური ენერჯის სტემა, რომელშიც გამოყენებულია მზის პანელები, აკუმულატორების ბატარეა და მუდმივი დენის ცვლად დენად

გარდამქმნელი მოწყობილობა დღეისათვის ეკონომიურად მიზანშეწონილი სისტემაა მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, საკომუნიკაციო და მილსადენების დაცვის და სასიგნალო სისტემების ელექტრო-მომარაგებისათვის.

ლიტერატურა

1. www.solarlightingitl.com
2. გ. დგებუაძე. ძალური ელექტრონიკის საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2009.

მილსადენის მთლიანობის მონიტორინგი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების მეშვეობით

წარდგენილია საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის ი. გოგუაძის მიერ

რეზიუმე: მოცემულ სტატიაში გადმოცემულია ოპტიკურ ბოჭკოვანი ტექნოლოგიების რამდენიმე ტიპის კონსტრუქციების მუშაობის პრინციპები, მილსადენების ერთანობის მონიტორინგის განხორციელების მიზნით რათა უზრუნველყოთ მილსადენის უსაფრთხოება, განხილულია ოპტიკური ბოჭკოს უპირატესობა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში. სტატიის ავტორის მიერ გადმოცემულია მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული ოპტიმისტური ვარაუდი ოპტიკური ბოჭკოს მზარდ როლზე ოპერაციული სისტემების დაცვის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულია ოპტიკური ბოჭკოს პერსპექტიულობა სწრაფად მზარდი გამოწვევების საპასუხოდ.

საკვანძო სიტყვები: ოპტიკურ-ბოჭკოვანი; მილსადენების ერთობის მონიტორინგი; მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული ოპტიმისტური ვარაუდი; ოპერაციული სისტემების დაცვის უზრუნველყოფა.

1. შესავალი



გ. მგელაძე,
დოქტორანტი

მილსადენის მთლიანობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია ნავთობისა და გაზის ტრანპორტირებისას. მილსადენის მთლიანობის დარღვევა იწვევს არა მარტო ნავთობისა და გაზის დანაკარგს, არამედ გარემოს დაზიანებებს. მილსადენის დაცვისა და კომუნიკაციის ახალი სისტემა, დაფუძნებული ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიებზე, უზრუნველყოფს მისი უსაფრთხოების საიმედოობას.

2. ძირითადი ნაწილი

მილსადენზე გარე ზემოქმედების თუ მცირე დაღვრის სწრაფად აღმოჩენის და რეაგირების უნარი შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ საიმედო და უტყუარი გადაწყვეტილება როგორც მოკლე და გრძელ გადამცემ ხაზებზე, ასევე მილსადენის მანაწილებელ ქსელებზე.

გარე ზემოქმედების აღმოჩენა უზრუნველყოფილია ოპტიკური ბოჭკოს უნარით, აღმოაჩინოს და განსაზღვროს ადამიანის თუ ხელსაწყოების მიერ მილსადენზე განხორციელებული ზემოქმედების ზუსტი მდებარეობა.

მცირე დაღვრები მილსადენის მთელ სიგრძეზე აღმოჩენილი და განსაზღვრულია ტემპერატურის ლოკალური თუ ანომალური ცვლილების მონიტორინგით და შეიძლება მარტივად იქნეს გამოყენებული მილსადენის ფართო ქსელში.

მილსადენებში გაზის გაჟონვის შემთხვევაში იქმნება ლოკალური ცივი ზონები მილსადენის გარე ზედაპირზე, ტომსონ-ჯოულის მაცივებელი ეფექტის შედეგად,

ტემპერატურის ცვლილების და მისი ადგილმდებარეობის აღმოჩენა და განსაზღვრა ხდება სისტემის მიერ.

კრიოგენული ხაზები, როგორცაა LNG (გათხევადებული ბუნებრივი გაზი), LPG(გათხევადებული ნავთობის აირი), ამიაკი, ეთილენი და ა.შ. ქმნის ცივ ზონებს გაჟონვის შემთხვევაში, რაც მარტივად შეიძლება იქნეს დადგენილი.

მილსადენებში, რომლებიც ატარებენ გამთბარ პროდუქტებს, როგორცაა სქელი ნავთობი, მრავალფუძიანი პროდუქტები, ორთქლი და ა.შ. მთლიანობის დარღვევის მდებარეობა შეიძლება დადგენილ იქნეს ტემპერატურის გაზრდით, ამ პროდუქტების გაჟონვისას.

საუკეთესო გადაწყვეტილება საუკეთესო მონაცემების საფუძველზე
უზრუნველყოფს ზუსტ და დინამიკურ ინფორმაციას 40000-ზე მეტი სხვადასხვა ადგილიდან მონიტორინგის ჩასატარებლად
უზრუნველყოფს პოზიციურ მონაცემებს გარე ზემოქმედების ან დაღვრის ადგილმდებარეობის განსაზღვრით, სამუშაოს თავისებურებისათვის
უზრუნველყოფს ტემპერატურულ მონაცემებს მილსადენის სტრუქტურული და თბოიზოლაციური მთლიანობის მონიტორინგისათვის

ინტელექტუალური მონიტორინგის გადაწყვეტა

ტრენის ინტელექტუალური გადაწყვეტის მაკონტროლებელი სენსორი (DTS) უზრუნველყოფს ტემპერატურის და დამაბულობის მონაცემთა გადაცემას რეალურ დროში მილსადენის მთელ სიგრძეზე, ასევე ტემპერატურის და გარე ზემოქმედების მონაცემების გადაცემას 40000-მდე სხვადასხვა ადგილიდან, მათი ინდივიდუალური ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

ეს სისტემა სრულყოფილად არის მორგებული მილსადენის მთლიანობის მონიტორინგსა (სადაც დაღვრა დაკავშირებულია ლოკალურ ტემპერატურულ ცვლილებებთან) და მილსადენის გარე ზემოქმედებისაგან დაცვის სისტემაზე.

მათი ძირითადი ტექნოლოგიის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანობის მონიტორინგის სხვა სისტემებთან შედარებით, DTS მთლიანობის სისტემის უპირატესობებია:

- ყოველდღიური გარდამავალი ოპერაციული პროცესების (ტუმბოს ჩართვა-გამორთვა) და დონეების ცვლილებების ზეგავლენისგან დაცულობა.
- მილსადენის მახასიათებლების (ცვლილებები მილსადენის დიამეტრში, სარქველების შევიწროება, მილსადენის დეფორმაცია) ცვლილებებისადმი შეუვალობა.
- კონდიციურ ცვლილებების (გარემოს ტემპერატურული პირობები, პროდუქტის სიბლანტე, ფაზური ცვლილება) ხელშეუხებლობა.
- რადგან ოპტიკური-ბოჭკოს სენსორები დაყენებულია მილსადენის გარეთ, ის არ აფერხებს მილსადენის შიგა ანტიკოროზიულ ოპერაციებს (დგუმის-PIG გაშვება).

სისტემის ფუნქციური შესაძლებლობები და უპირატესობები

Tran-ის ინტელექტუალური გადაწყვეტის სენსორის მრავალმხრივი ფუნქციური შესაძლებლობები და უპირატესობები:

- 50-მდე ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის ხელმისაწვდომობა, რომ უზრუნველყოს მილსადენის ფართო ქსელის მონიტორინგი, DTS-ის ერთი ერთეული ერთმოდინი ბოჭკოს მიერ.
- ღია საკომუნიკაციო არქიტექტურა მარტივ და საიმედო ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს მესამე მხარის სისტემურ ქსელებთან (Ethernet, OPC, SCADA და ა. შ.).
- თითოეული მილსადენი შეუზღუდავ ზონებში შეიძლება განისაზღვროს სიგნალიზაციის ცალკეული ტიპებით და საკონტროლო მნიშვნელობით სიგნალიზაციის ცალკეული ტიპებისათვის.
- პაკეტური რეალიზაციის აპარატული უზრუნველყოფის ფართო სპექტრი, ხელმისაწვდომი პროექტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- ვრცელი დიაგნოსტიკური თვითმართვა და ავტონომიური მუშაობა უსაფრთხო გამორთვისა და ავტომატური გაშვების შესაძლებლობით.
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საიმედო კონსტრუქცია.
- საშიშ ზონებში გამოყენებისათვის შესაფერისი და ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისადმი მდგრადი სისტემა.
- შესაფერისი ახალი და მოდერნიზებული პროექტებისთვის.


მილსადენის მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა

DTS მენეჯერის პროგრამული უზრუნველყოფის დანამატმა SensorTran განავითარა სპეციალური გამოყენებითი პროგრამა მილსადენის მთლიანობის უზრუნველყოფისათვის. სისტემა საშუალებას იძლევა წარმოადგინოს მილსადენის მთლიანობისა თუ გარე ზემოქმედების კონდიციები, ტემპერატურული გამოსახულებები, საკონტროლო ინფორმაციები ზუსტი სახით.

ამ სისტემის უნივერსალურობა საშუალებას იძლევა, აგრეთვე, წარმოადგინოს მონაცემთა გამოსახვა რეალურ დროში.


მილსადენთან დაკავშირებული ოპტიკური ბოჭკოს გრაფიკული გამოსახულება საშუალებას იძლევა წარმოადგინოს მილსადენის ფიზიკური მდგომარეობა.

მილსადენის მდგომარეობა და მისი ტემპერატურული პროფილი (გრაფიკული და ტემპერატურული ანათვალის სურათი) ტრენდულ დიაგრამასთან ერთად ნათლადაა გამოსახული SCADA-ს მონიტორზე.



შემთხვევათა გამოვლენა

Ground Level




ოპტიკური ბოჭკოს ინსტალაცია და განვრცობა

მყარი ოპტიკური ბოჭკოს კაბელების ფართო სპექტრი ხელმისაწვდომია სპეციფიკური პროექტებისა და საინსტალაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კაბელები შეიძლება იყოს წარმოდგენილი და დაინსტალირებული კოროზიამდეგი მილის ფარგლებში ან ფოლადის ჯავშნით აღჭურვილი სადენის კონსტრუქციით, რათა უზრუნველყოს ბოჭკოს მაღალხარისხიანი თბოგამტარობა. ბოჭკოს ტიპები შერჩეულია შესაფერისი კონსტრუქციის გარსაცმით, შესაბამისი ტემპერატურული ამპლიტუდის – 196°C+700°C ფარგლებში.

არსებობს ოპტიკური ბოჭკოს განლაგების მრავალრიცხოვანი ალტერნატივები, კონკრეტული პროექტების მოთხოვნებზე დამოკიდებულებით და თერმული დროის შეზღუდვებით. ინსტალაციის მეთოდები დიდი ყურადღებითაა შერჩეული, რათა უზრუნველყოს მაქსიმალური მოქნილობა იმ დროს, როცა წარმოდგენილია საუკეთესო მექანიკური დაცვა.



ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარების ტიპური მეთოდები მოიცავს დახვევას, შენახვას და გადამუშავებას მილსადენის შიგნით. მილსადენთან დაკავშირებული, წინასწარ დაინსტალირებული ოპტიკური ბოჭკოს გაშლის ასეთი მეთოდი უზრუნველყოფს რეალური და ზუსტი მონაცემების წარმოდგენას მილსადენში სითბოს გავრცელებისას, გარე ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლად.

ოპტიკური ბოჭკო შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთმოდინანი ან ორმოდინანი დაბოლოების კონფიგურაციით.

ორმოდინანი დაბოლოებით გაზომვა აღწერს მეთოდს, როდესაც ბოჭკო ორივე დაბოლოებით დაკავშირებულია DTS ერთეულთან ხვეულას კონფიგურაციით. ორდაბოლოებიანი ბოჭკოს საშუალებით გაზომვების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ბოჭკოს დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, რადგანაც ბოჭკო დაკავშირებულია სისტემასთან ორივე ბოლოთი, შესაძლებელია სისტემამ გააგრძელოს სრული მონიტორინგი.

Sensor Tran-ის უპირატესობანი

სენსორტრანი, NASA-ს ტექნოლოგიების თანამდევი ტექნოლოგია, მოწოდებულია უზრუნველყოს მონიტორინგული გადაწყვეტის გონივრული განაწილება. სენსორტრანის სისტემა შექმნილია მცირე თვითღირებულების ეფექტური დიზაინის მეთოდით, საუცხოო ინჟინრული გადაწყვეტით და საიმედო კონსტრუქციით. იგი გამოირჩევა მრავალმხრივი კონცეფციური განვითარებით და უზრუნველყოფს საიმედო ოპერაციულ სტანდარტებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

3. დასკვნა

არსებობს ნავთობპროდუქტების დაღვრისაგან დაცვის მრავალი მეთოდი. ნავთობისა და გაზის მილსადენების მთლიანობის დაცვის კონსტრუქცია და საკომუნიკაციო სისტემა, დაფუძნებული ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიებზე, წარმოადგენს ნავთობისა და გაზის უსაფრთხო ტრანსპორტირების ყველაზე საიმედო საშუალებას. ოპტიკური ბოჭკო არის მომავლის უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგია მრავალ ასპექტში; ოპტიკური ბოჭკოს აქვს უნარი იყოს წარმოდგენილი ფართო და მრავალმხრივ დიაპაზონში, აგრეთვე, უნარი გააუმჯობესოს კონტროლი და სენსორული შესაძლებლობები. ოპტიკური ბოჭკო გვთავაზობს კომუნიკაციების დიაპაზონური მოცულობების ცვლილებას, ეს სიახლე ზრდის კაბელის დიზაინს, აქვს დადებითი ზეგავლენა საკომუნიკაციო კვანძის ოპერაციული პარამეტრების გაუმჯობესების მხვრივ.

ოპტიკური ბოჭკოს მთელი მწკრივი, რომელიც განვითარებულია და გამოცდილი სავსე პირობებში, გადატრიალებას მოახდენს საკომუნიკაციო სისტემებში, უზრუნველყოფს რა სწრაფ და ზუსტ მონაცემთა გადაცემას და ამით ამცირებს რისკებს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისას. ჩვენ დღეს წარმოვადგინეთ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ოპტიკური ბოჭკოს ტექნოლოგიების უპირატესობისა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში, მომავალში აუცილებლად განვიხილავთ ტრანსპორტირების რეჟიმების რეგულირებას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით.

მომავალი ეკუთვნის ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიებს.

ლიტერატურა

1. Culshaw, B. and Dakin, J. P., Eds., 1996, Optical Fiber Sensors: Components and Subsystems, vol. 3, Artech House.
2. Carlson B. N., 1993, “Selection and use of pipeline leak detection methods for liability management into the 21st century”, Pipeline Infrastructure II, Proceedings of the International Conference of the American Society of Chemical Engineers, ASCE.
3. Tapanes, E., 2002, “Fiber Optic Sensing Solutions for Real Time Pipeline Integrity Monitoring,” Future Fibre Technologies Pty Ltd. Company Article.
4. Natural Gas Leak Detection in Pipelines, Yudaya Sivathanu En’Urga Inc.
5. ჯ. ბახტაძე, გ. ვარშალოძიძე, ი. გოგუაძე, მ. სამადაშვილი, ე. ქრისტესიაშვილი. მილსადენების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი. ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები//საქართველოს ნავთობი და გაზი, თბილისი, 2006 წ. №19.
6. Udd, E. (1991), Fiber Optic Sensors, Wiley
7. “Fiber optic smart sensing” Optical Measurement techniques and applications, P. K. Rastogi.

UDC 681.586.5

G. Mgeladze

FIBER-OPTIC PIPELINE MANAGEMENT INTELLIGENT SOLUTIONS

Presented by I. Gogvadze – Honoured academician Engineering academy of Georgia

SUMMARY: The integrity of oil pipeline is always a majoring oil and gas transportation industry. Pipeline leak not only leads to loss of oil, but pollutes environment. A new pipeline leak detection and communication system based on optical fiber technology to ensure the pipeline reliability is presented. Dedicated fiber optic cables can be used to detect and locate in real-time pipeline displacement and strain, enabling the early detection of increased stresses. Optical fiber will be a critical technology in many aspects of future. Optical fiber already offers a step change in bandwidth capacity for the communications backbone. The range of discrete and distributed optical fiber sensors, being developed and in some cases field tested, will revolutionize sensing technologies in safety operating systems, the future is optical fiber.

KEY WORDS: optical-fiber; integrity of oil pipeline; pipeline detection and communication system; dedicated fiber optical cables; optical fiber will be a critical technology; the future is optical fiber.

1. Introduction

The integrity of pipeline is always a major concern in oil and gas transportation . Pipeline leak not only leads to loss of oil and gas, but it pollutes environment as well. Pipeline leak detection and a new communication system is presented in the article based on optical fiber technology to ensure the pipeline reliability.

The implementation of Sensor Tran’s advanced fiber-optic system based on Distributed Temperature Sensing (DTS) solutions provides a significant advancement in the integrity and intrusion management of pipelines.

2. Body

With the ability to quickly detect both intrusion and small leak events, these solutions provide an affordable, proven and reliable solution for both short and long transfer lines and plant-wide pipeline distribution networks as well.

Intrusion detection is provided by the ability of fiber-optic to detect and locate the position of small strain events along an optical fiber caused by people or equipment.

Small leaks along entire length of pipelines are detected and located by small and anomalous local temperature changes monitoring and can be readily applied in a wide range of pipeline applications.

As to gas lines, the escaping gas creates a local cold zone on the outer surface of the pipeline due to the Joule-Thomson cooling effect and the temperature change and its location being detected and measured by the system.

Cryogenic lines such as LNG, LPG, ammonia, ethylene, etc also create cold zones in case of leaks which can be easily detected.

Lines carrying heated product such as heavy oil, multi-phase products, molten products, heated water and steam also lend themselves to these integrity monitoring solutions as a result of the local temperature increases which occur due to the escaping product.

Better Decisions from Better Data	
•	provides accurate and dynamic information in real-time for up to 40,000 discrete points for complete monitoring
•	provides positional data to allow for identification of leak and intrusion positions with no prior knowledge of performance characteristics
•	provides temperature data for monitoring pipeline structure effects and insulation integrity

Intelligent Monitoring Solutions

Tran’s intelligent DTS monitoring solutions sensor provides real-time dynamic temperature and strain event data along the complete length of the lines providing up to 40,000 discrete temperature and intrusion measurement readings considering their individual locations.

These systems perfectly suit the pipeline integrity monitoring (where a leak is characterized by a local temperature event) and intrusion detection of pipelines.

Hence the nature of their underlying technology these systems have substantial benefits over other integrity monitoring systems:

- . Not affected by day-to-day transients such as pump start/stop and control valve operations or changes to delivery rates.
- . Immune to pipeline characteristics such as pipeline diameter changes, internal roughness, valve restrictions, pipe bends, etc.
- . Immune to condition changes such as ambient temperature, product viscosity or phase changes.
- . Since the optical sensing fiber is installed outside the pipeline these systems do not prevent pigging operations.

System Function abilities and advantages

Tran's intelligent solution provides sensor a wealth of features and benefits:

- up to 50 fiber-optic channels availability to provide monitoring for plant-wide pipeline networks from DTS single unit
- open-communication architecture provides reliable and easy interfacing with 3rd side system networks (Ethernet, OPC, SCADA, etc) together with flexible remote control and data output/input capabilities.
- intelligent and multiple alarm types and configurations can be readily tailored to each specific project to alert the operator to anomalous temperature/intrusion events, and leak conditions.
- each pipeline can be defined in unlimited zones by individual alarm types and set-points for each zone, allowing alarms to reflect fully the changing characteristics along its complete length.
- specifically developed application of software presents the data in a meaningful, representative and intuitive graphical form to the operator with tailored report creation facilities.
- wide range of hardware implementation packages available to meet exacting project requirements.
- on-board and expandable data storage provides for historical data achievement.
- extensive on-board self diagnostics and autonomous operation with safe shut-down and auto-start up capabilities.
- robust optical fiber cable design.
- suitable for use in hazardous areas and unaffected by electro-magnetic interference.
- suitable for new and retrofit projects.


Pipeline Monitoring Software

DTS Manager Software complement, SensorTran has developed specific application displays for pipeline integrity monitoring systems. This provides the human-machine-interface (HMI) to present the integrity and intrusion condition, temperature profile, and alarm information to the operator in a clear, precise and intuitive manner. These HMIs are tailored to suit specific project requirements so that they provide an accurate mimic of the installation.

In addition to displaying real-time data, the versatility of these systems also allow the playback of historical data. Playback direction and review speed is provided by a single control.


Physical mapping of the optical fiber connected with the pipeline allows a graphical representation of the pipeline condition.

Pipeline condition status and its temperature profile (both graphical and temperature trace representations) together with trend plots for specific points are clearly displayed on SCADA monitor.



Event Detection


Ground Level



Optical Fiber Installation and Deployment

A wide range of robust optical fiber cables are available to suit specific projects and installation requirements. Cables can be supplied and installed within an outer stainless steel tube or Steel Wire Armoured (SWA) cable construction to provide protection while ensuring good thermal conduction to the fibers. Fiber types are selected suitable for coatings designed to meet temperature limits within -196°C to $+700^{\circ}\text{C}$.

Numerous alternatives of the optical cables placement exist dependent upon the specific project requirements and thermal time constraints. Installation methods are carefully selected to provide maximum flexibility with best mechanical protection.



Typical optical-fiber technology deployment methods include prefabricated cable, spooling or pulling the fiber inside the previously installed, dedicated conduit in close proximity to the pipe surface. Such deployment ensures true representation of pipeline heat distribution independent of external influences.

The optical fiber can be configured in either single-ended or double-ended configuration. Double-ended measurement describes a method by which both ends of the fiber are connected to

the DTS unit in a loop configuration. An advantage of double-ended measurement is absence of a fiber-break event; since the fiber is addressed from both ends to the system it can continue full monitoring.

The SensorTran Advantages

SensorTran, a NASA technology spin-off, is committed to supply its customers with smart, distributed monitoring solutions. Sensor Tran systems are conceived to have a low lifetime cost of ownership (LCO) due to efficient design, superior engineering and reliable construction. Sensor Tran team is dedicated to providing “best-in-industry” customer care from project conception to the development of specifications, through installation, training, etc.

Conclusion

There are a variety of methods that can detect pipeline leaks. Design of oil and gas pipeline leak detection and communication system based on optical fiber technology is the most reliable feature. Optical fiber is the mosimportant technology of future in many aspects. Once knowledge of the availability of high bandwidth communication becomes widely distributed, many controls and sensor improvements will appear, to make use of the available bandwidth. Optical fiber already offers a step change in bandwidth capacity for the communication backbone. This performance increases mean that the cable design no longer has any impact, what so ever, on the performance of the communication link.

The range of discrete and distributed optical fiber sensors, being developed and in some cases field tested, will revolutionize the communication system promoting quick and precise data transmission thereby reducing the risks involved with transporttion of oil and gas.

References:

1. Culshaw, B. and Dakin, J. P., Eds., 1996, Optical Fiber Sensors: Components and Subsystems, vol. 3, Artech House
2. Carlson B. N., 1993, “Selection and use of pipeline leak detection methods for liability management into the 21st century”, Pipeline Infrastructure II, Proceedings of the International Conference of the American Society of Chemical Engineers, ASCE.
3. Tapanes, E., 2002, “Fiber Optic Sensing Solutions for Real Time Pipeline Integrity Monitoring,” Future Fibre Technologies, Pty Ltd. Company Article.
4. Natural Gas Leak Detection in Pipelines, Yudaya Sivathanu En’Urga Inc.
5. ჯ. ბახტაძე, გ. ვარშალომიძე, გოგუაძე ი., მ სამადაშვილი, ე. ქრისტესიაშვილი. მილსადენების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი ბოჭკოვან-ოპტიკური გადაჭოლები. //საქართველოს ნავთობი და გაზი, თბილისი, 2006 წ. №19
6. Udd, E. (1991), Fiber Optic Sensors, Wiley
7. “Fiber optic smart sensing” Optical Measurement techniques and applications, P. K. Rastogi.

შპს 622.24.442

ი. გაბრიჩიძე, გ. ხარაბაძე,
ნ. ბოჭორიშვილი, ვ. გაბრიჩიძე

სარწყავი არხების კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობა ელექტროენერგიისა და ეკოლოგიურად სუფთა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ნივთიერებათა მისაღებად

რეზიუმე: განხილულია საქართველოში არსებული მრავალი სარწყავი და სხვა სპეციალური დანიშნულების მქონე არხების გამოყენების შესაძლებლობა ელექტროენერგიისა და ეკოლოგიურად სუფთა ნივთიერების (წყალბადის) მისაღებად. ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება არხებში ჩადგმული მიკროჰესების საფუძველზე, ხოლო წყალბადის წარმოება - ელექტროლიზერში წყლის ელექტროლიზის შედეგად, რისთვისაც გამოიყენება მიკროჰესებში გამომუშავებული შედარებით დაბალი თვითღირებულების ელექტროენერგია.

საკვანძო სიტყვები: არხი, მიკროჰესი, წყალბადი, ელექტროლიზერი, ენერგომატარებელი, შეტბორვა, დაწნევა.

1. შესავალი



ი. გაბრიჩიძე,
ელექტროენერგეტიკის
დამსახურებული
მუშაკი, ინჟინერი

საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, დაქსელილია სარწყავი და სხვა სპეციალური დანიშნულების არხებით. მაგალითად, ალაზნის სარწყავი სისტემის მთავარი არხი და მისი განშტოებები, არხები მდ. ქსანსა და მდ. ლიახვზე, გარდაბნის მძლავრი არხი, რომელიც თბოელექტროსადგურის გაციების სისტემას ემსახურება და სხვა. დასავლეთ საქართველოში აღსანიშნავია ზესტაფონ-აჯამეთის სარწყავი არხი, სარწყავი არხები გურიასა და სამეგრელოში და ა.შ.



გ. ხარაბაძე,
ასოც. პროფესორი
(ტელეკომუნიკაციის
დეპარტამენტი)

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლადაა აგრეთვე დიდი დაქანების ნაკადულები, მთის წყაროები და ღელეები, რომლებიც არ გამოიყენება ძირითადი, მცირე და მძლავრი ჰესების მუშაობისათვის, მაგალითად, ღელე რაჩხა ცაგერის რაიონში, ზესტაფონში - ჯობოურა, ძუსა, ბუჯა, ჩხარულა, ჩოლაბური, ძვერულა და სხვა; აგრეთვე, ისეთი მდინარეებიც, რომელთა გამოყენება მცირე ენერგეტიკის განვითარებისთვის არ უქმნის დაბრკოლებას გენერალური გეგმით გათვალისწინებული მძლავრი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას.



ნ. ბოკორიძე,
„საგანგებო სიტუაციების მართვისა და შრომის უსაფრთხოების“ მმართველობის სრული პროფესორი

მიკროჰესების მშენებლობის შედეგად მიღებული, შედარებით დაბალი თვითღირებულების ელექტროენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ახლომდებარე დასახლებული პუნქტების ელექტროენერგიით მომარაგებისათვის, ისე ეკოლოგიურად სუფთა ნივთიერებების (გაზების) მისაღებად, რომელთა ნაწილს სტრატეგიული და დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.



ვ. გაბრიძე,
„ინფორმატიკისა და მართვის სისტემების“ ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

2. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ წყლის ელექტროლიზით ხდება წყალბადისა და ჟანგბადის მიღება. წყალბადი [1], როგორც ტექნიკური პროდუქტი, ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის მრავალ სფეროში: ნავთობის გამომუშავების ტექნიკურ პროცესში, ამიაკის, მეთანოლის წარმოებასა და მეტალურგიულ მრეწველობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში. უკანასკნელ ხანს წყალბადს განიხილავენ, როგორც უნივერსალურ ენერგომატარებელს–ენერგიის აკუმულირების შესაძლებლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნა ენერგეტიკულ რესურსებზე. ენერგიის დიდი ნაწილი მიიღება ე.წ. განუახლებადი რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ნახშირი, ფიქალი) ხარჯზე, რომელთა მარაგი ბუნებაში შეზღუდულია. წყალბადს აქვს წვის მაღალი ტემპერატურა (დაახლოებით 3-ჯერ მეტი, ვიდრე ნახშირწყალბადიან საწვავს), არ ატოქსიანებს გარემოს წვის მაგნე პროდუქტებით, ე.ი. წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა ენერგომატარებელს, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს ისეთი ორგანული საწვავისგან, რომელსაც ახლავს აზოტის, გოგირდის, ნახშირბადის ოქსიდების და სხვა მაგნე პროდუქტების ატმოსფეროში გაფრქვევა და იწვევს ბუნებაში ეკოლოგიურ წონასწორობის დარღვევას. მაგალითად, ატმოსფეროში ნახშირბადის დიოქსიდის დაგროვება წარმოქმნის ე.წ. სათბურის ეფექტს, რომელიც შეიძლება გახდეს კატასტროფული შედეგის გამომწვევი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წყლის პრაქტიკულად შეუზღუდავი მარაგი განაპირობებს ორგანული წარმოშობის პირველადი წყაროების სულ უფრო მეტად ჩანაცვლებას მეორეული ენერგომატარებლებით. ამ მიზნით ძალიან პერსპექტიულია წყალბადის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებათა წვის პროდუქტად, ელექტროსადგურებსა და კომუნალურ მეურნეობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ დარგებში, რაც საშუალებას იძლევა წარმატებით გადაწყდეს ბევრი აუცილებელი ენერგეტიკული თუ ტექნიკური პრობლემა. ამასთანავე, წყალბადთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას აუცილებელია ტექნიკური უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა, რისთვისაც საჭიროა წყალბადის

თვისებების ცოდნა მისი მიღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და სხვადასხვა ტექნიკურ პროცესებში გამოყენების დროს.

წყალბადი დახლოებით 14-ჯერ მსუბუქია ჰაერთან შედარებით, სწრაფად აქროლადი და გაუონვის შემთხვევაში სწრაფად ადის ატმოსფეროში, ცეცხლსაშიშია, ხასიათდება წვის მაღალი ტემპერატურით. მისი ტრანსპორტირება შეიძლება თხევადი სახითაც – მილსადენით, ცისტერნიანი საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით. ტრანსპორტირებისას და სხვა საცავში წყალბადის გადატუმბვის დროს ადგილი აქვს დანაკარგებს გაუონვის გამო. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ 4500 კგ ცისტერნით ტრანსპორტირებისას, ერთი რეისის დროს იკარგება 3-5% თხევადი გაზი.

მცირე, საშუალო და მძლავრი ელექტროლიზერების მწარმოებლურობა დღე-ღამეში შეადგენს 0,1–1 მ³ წყალბადს. მძლავრი ელექტროლიზის ქარხნებში დღე-ღამეში შეიძლება დაიხარჯოს 450 ტ და მეტი წყალი, ხოლო 1 მ³ წყალბადის მიღებისათვის საჭიროა 3,5–4,5 კვტ.სთ ელექტროენერგია. მიუხედავად ენერჯის ასეთი ხარჯისა, წყლის ელექტროლიზი წარმოადგენს წყალბადის მიღების კონკურენტუნარიან მეთოდს, რადგან უზრუნველყოფს მიღებული წყალბადის მაღალ სისუფთავეს (99,99%); შესაძლებელია მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე შუალედური პროდუქტების (ჟანგბადი, მძიმე წყალი) მიღება, რადგან პრაქტიკულად ამოუწურავია წყლის მარაგი.

ელექტროლიზერების ელექტროენერგიით მომარაგებისა და კომპლექსური გამოყენების დენის წყაროების სიმძლავრეთა განსაზღვრისათვის მივიღოთ სარწყავი სისტემის არხში გამავალი წყლის ხარჯი $Q=2$ მ³/წმ, ხოლო 1 კმ-ზე არხის დახრილობა 3 მ-ის ტოლი. ასეთი დახრის დროს არხში შესაძლებელია სამ ადგილზე 1 მ შეტბორვითი დაწნევის მიღება და თუ 1 კმ-ზე არხში განვათავსებთ სამ მიკროჰესს, მაშინ თითოეულის სიმძლავრე იქნება:

$$P=9,81QH_{\text{შეტბ.}} \cdot \eta=9,81 \cdot 2 \cdot 1 \cdot 0,8=15,7 \text{ კვტ.}$$

სადაც $\eta=0,8$ მქ კოეფიციენტი არხის ყოველ კილომეტრზე, ხოლო $H_{\text{შეტბ.}}=1$ –შეტბორვითი დაწნევის სიდიდე.

ასეთი პარამეტრების შემთხვევაში არხის ყოველ კილომეტრზე მიღებული ჯამური სიმძლავრე $3 \cdot 15,7=47,1$ კვტ შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ რიგ არხებში გამავალი წყლის ხარჯი შეიძლება იყოს 18 მ³/წმ და, შესაბამისად, სიმძლავრე იქნება $9 \cdot 47,1=423,9$ კვტ და 1 სთ-ში შესაძლებელია $423,9/4,5=94,2$ მ³ წყალბადის გამომუშავება.

ასეთი მიკროჰესები ათასობით შეიძლება მოეწყოს არსებულ არხებში. თუ ერთი ჰესის სიმძლავრეს ავიღებთ 10–15 კვტ ტოლს, მაშინ 1000 კმ სიგრძის არხიდან, რომელშიც ყოველ კილომეტრზე იგულისხმება სამი მიკროჰესი, მიღებული სიმძლავრე იქნება:

$$P=3 \cdot (10 \div 15) 10^{-3} \cdot 1000=30 \div 45 \text{ მგვტ.}$$


ელექტროლიზერში ასეთი სიმძლავრის სრული გამოყენების შემთხვევაში, 1 სთ-ში შეიძლება მიღებული იქნეს

$$(30 \div 45)/4,5 \cdot 10^{-3}=(6666,7 \div 10000) \text{ მ}^3 \text{ წყალბადი,}$$

ხოლო დღე-ღამეში

$$24 \cdot (6666,7 \div 10000) = (159984 \div 240000) \text{ მ}^3.$$

სრულყოფილი ელექტროლიზერის კონსტრუირებისა და აგებისათვის Ellis-Chalmers (აშშ) ფირმამ გამოიყენა სითბური ელემენტების ტექნოლოგია (ნახ. 1). ასეთი ელექტროლიზერის ძირითადი თავისებურებაა ნიკელის ფოროვანი ელექტროდები, რომლებსაც აქვთ მაღალი კუთრი ზედაპირი. მოპირდაპირე ზედაპირებიდან გაზების გამოყოფა მიმდინარეობს მინიმალური პოლარიზაციული ეფექტით. დანადგარის ყოველი უჯრედი შედგება პლატინის კატალიზატორით დაფარული ნიკელის ორი ფოროვანი ელექტროდისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან გაყოფილია აზბესტის თხელი მატრიცით [1].




ნახ. 1. Ellis-Chalmers-ის ელექტროლიზერის საბოლოო უჯრედის კონსტრუქცია.

- 1 – კათოდი; 2 – ფუძე; 3 – O₂-ის ფოსო; 4 – H₂-ის ფოსო; 5 – ბიპოლარული ფილა; 6 – ანოდი; 7 – აზბესტის მატრიცა; 8 – შუასადები

ელექტროენერჯის გამომუშავების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიწისზედა სარწყავი არხების წყლის ხარჯის გაზრდის გარეშე, შესაძლებელია წყლის დონის 1,5-ჯერ აწევა, რომლის დროსაც იზრდება წყლის შეტბორვის სიდიდე. პროპორციულად გაიზრდება გამომუშავებული ელექტროენერჯის სიმძლავრე და

მიღებული წყალბადის მოცულობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, არხში მიკროჰესის ჩადგმით გამოწვეული წყლის დონის აწვევისას, ღარიდან წყლის გადმოდერის თავიდან აცილების მიზნით, არხის ამ უბანზე წყალსატარი ღარი დახურულია პოლიმერული მასალისგან დამზადებული რკალისებრი ფორმის ხუფით (ნახ. 2), რომელიც ღარის ბორცვზე შიგა ღარტყით დამაგრებულია ქანჩებით, ხოლო პერმეტიზაციის მიზნით შესაძლო ღრეჩოები შევსებულია სპეციალური ქაფით. შესაძლებელია აგრეთვე როგორც მიწისზედა, ისე მიწის სიღრმეში არსებული არხების ღარში პოლიმერის მოქნილი მილის ჩადგმაც, რომლის სიმაღლე 0,5–0,7 მ-ით აჭარბებს ღარის ბორცის სიმაღლეს, რაც, ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, დაიცავს არხს წყლის გადმოდერისაგან და შექმნის წინაპირობას მიკროჰესის სიმძლავრისა და წარმოებული წყალბადის მოცულობის გაზრდისათვის.



ნახ. 2. წყალსატარის ღარის რეკონსტრუქციის ტექნიკური ნახაზი

1 – ღარი; 2 – პოლიმერის გრძივი ხუფი; 3 – ლარტყა; 4 - ქანჩი; 5 - საყრდენი; 6 – გრუნტი

მიკროჰესის გარსაცმის ფორმას განაპირობებს იმ არხის პროფილი, რომელშიც მიკროჰესის ჩადგმაა გათვალისწინებული. მოცემულ უბანზე აგრეგატების რაოდენობა განისაზღვრება არხში წყლის ხარჯის მიხედვით. მიკროჰესები მუშაობს პარალელურ რეჟიმში და ხდება მათი სიმძლავრეთა შეკრება, რაც აუცილებელია

მიკროენერგოსისტემის შესაქმნელად. სხვადასხვა სიმძლავრის მიკროჰესების დამზადება ქართული პატენტებით ([2,3]) შესაძლებელია თბილავიამშენის ქარხანაში.

არხებში წყლის დონის აწევის შესაძლებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე არხის ნიშნულზე მაღალი ფერდობების მოსარწყავად და უფრო მაღალ ნიშნულზე ჰიდრომააკუმულირებელი წყალსაგუბრების მოსაწყობად, რომლებშიც დაგროვებული წყლის გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მრავალი მიზნით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზესტაფონში მდ. ყვირილაზე აგებულია სამედიორაციო არხების წყლით მომარაგების სათავე-ნაგებობა, რომლის გამოყენება შესაძლებელია მცირე ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. მისი სავარაუდო სიმძლავრე 8–10 მგვტ შეიძლება იყოს. რადგანაც უკვე არსებობს ჰიდროელექტროსადგურისათვის საჭირო მთელი რიგი აუცილებელი ატრიბუტები, ამიტომ ჰესის მშენებლობა, მისი გამოსყიდვის დრო და ენერჯის თვითღირებულება იქნება გაცილებით მცირე, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში.

3. დასკვნა

წარმოდგენილი საკითხების პრაქტიკული რეალიზაცია იძლევა არა მარტო ჭარბი ელექტროენერჯის გამომუშავების საშუალებას, არამედ განაპირობებს ისეთი რაოდენობის სუფთა წყალბადის მიღების შესაძლებლობას, რომ ის შეიძლება საექსპორტო პროდუქტი გახდეს. ამასთანავე, პროექტი თავის წვლილს შეიტანს დასაქმების პროგრამის განხორციელების საქმეში.

ლიტერატურა

1. Справочник. Водород-свойства, получение, хранение, транспортирование, применение/Под. ред. Д. Ю. Гамбурга и Н. Ф. Дубовкина. М.: Химия. 1989.
2. საქპატენტი. ი. გაბრიჩიძე, ა. გელუტაშვილი, ნ. თევზაძე. გადასატანი მიკროელექტროსადგური. პატ. №P2151. 1998.
3. საქპატენტი. ი. გაბრიჩიძე, ა. გელუტაშვილი, ნ. თევზაძე. ჰიდროაგრეგატი. პატ. №U 779. 2000.

UDC 622.24.442

I.Gabrighidze, G.Kharabadze,
N.Bochorishvili, V.Gabrighidze

POSSIBILITY TO APPLY IRRIGATION CHANNEL COMPLEX USAGE TO OBTAIN ELECTRIC POWER AND ECOLOGICALLY CLEAN SUBSTANCES OF STRATEGIC AND ECONOMIC IMPORTANCE

SUMMARY: The possibility of using irrigation and other special important channels of Georgia for receiving electric power and ecologically clean substance (hydrogen) is considered in the article. Electric power is generated on the basis of micro hydropower stations mounted on channels, while hydrogen is obtained as a result of water electrolysis in the electrolyzer for which low cost electric power generated at micro hydropower stations is used.

KEY WORDS: channel, micro hydropower station, hydrogen, electrolysis, energy carrier, waterlogging, pressure.

1. Introduction

Georgia, in particular, its east part is furrowed with a lot of irrigation or other special purpose channels, downfall springs, mountain streams and brooks which at present are not used for running of small or great hydropower stations. Their use for small power generation will not prevent the construction of great power stations considered in the master plan.

Comparatively low cost electric power received as a result of construction of micro hydropower stations can be used for power supply to neighboring settlements, as well as for receiving ecologically clean substances (gases), a part of which has strategic and economic importance.

2. The Body

It is known that hydrogen and oxygen are obtained through water electrolysis. Hydrogen [1], as a technical product, is widely used in many fields of economy such as: technical process of petroleum refining, ammonia and methanol production and metallurgy, different fields of science and technique. In recent period hydrogen is considered as a universal energy carrier with possibility of energy accumulation.

As a result of scientific-technical progress the demand for energy resources is continuously increasing. The most part of energy is generated on the expense of the so-called nonrenewable resources (petroleum, natural air, coal, slate), their resources being limited in the nature. As hydrogen has high temperature of burning (about 3 times higher than that of hydrocarbon fuel) it does not pollute the environment with detrimental products of burning, i.e., is ecologically pure energy carrier which makes it different from organic fuels which are accompanied with atomization of nitrogen, sulfur and carbon oxides and other detrimental products into atmosphere and causes ecological balance disturbance in the nature. For example, the accumulation of carbon dioxide in atmosphere causes the so-called greenhouse effect which can provoke catastrophic results.

All the above said and practically unlimited water supply provides ever more substitution for initial sources of organic origin with recyclable energy carriers. On this purpose it is very prospective to use hydrogen as a combustion product in transport, in electric stations and municipal engineering, in the new fields of science and technique, enabling successful solution of many necessary energetic and technical problems. At the same time, when solving each concrete problem connected with hydrogen it is necessary to observe strictly technical safety rules that require thorough knowledge of hydrogen properties in case of its production, transportation, storage and using in different technical processes.

Hydrogen is about 14 times lighter than air, is rapidly volatilizing and in case of leakage speedily goes up into atmosphere, is inflammable and is characterized with high temperature of burning. Its transportation is possible in liquid form through pipelines, in trunk-mounted and sea tankers. At transportation and pumping-over into another tank there happen losses caused by leakage. From literature it is known that at transportation in 4500 kg tanks 3-5% of liquid gas is lost during one haul.

The efficiency of small, medium and powerful electrolyzers is 0,1-1 m³ hydrogen per day. In powerful electrolysis plants 450 t and more water may be consumed per day while for producing 1 m³ of hydrogen 3,5-4,5 kW /hr electric energy is necessary. In spite of such consumption of energy water electrolysis is a competitable method for hydrogen production as it provides high purity of the obtained hydrogen (99,99%); it is possible to obtain intermediate products (oxygen, heavy water) of important value and water resource is practically inexhaustible.

In order to determine power supply for electrolyzers and current source for complex usage power let water consumption passing irrigation system channel be $Q = 2 \text{ m}^3/\text{sec}$ and channel decline per 1 km be 3 m. In case of such incline 1 m waterlogging head can be received in 3 places of the channel and if we arrange 3 micro hydrostations on 1 km the power of each will be:

$$P = 9,81QH_{wl} \cdot \eta = 9,81 \cdot 2 \cdot 1 \cdot 0,8 = 15,7 \text{ kW}$$

where $\eta = 0,8$ is efficiency coefficient per km of channel and $H_{wl} = 1$ is the value of waterlogging pressure.

In case of such parameters the received sum power per each km of the channel makes $3 \cdot 15,7 = 47,1 \text{ kW}$.

It should be noted that the consumption of passing water may be 18 m³/sec in some channels and respectively, power will be $9 \cdot 47,1 = 423,9 \text{ kW}$ and $423,9 / 4,5 = 94,2 \text{ m}^3$ hydrogen can be worked out an hour.

Such micro hydrostations can be constructed by thousands on the existing channels. If the power of one hydrostation is admitted 10-15 kW, then the obtained power will be: $P = 3 \cdot (10 \div 15) \cdot 10^3 \cdot 1000 = 30 \div 45 \text{ MW}$, on 1000 km length channel where 3 micro hydrostations are constructed per kilometer.

In case of complete usage of such power in electrolyzer

$$(30 \div 45) / 4,5 \cdot 10^{-3} = (6666,7 \div 10000) \text{ m}^3$$

of hydrogen can be obtained per hour and

$$24 \cdot (6666,7 \div 10000) = (159984 \div 240000) \text{ m}^3$$

per day.

For design and construction of perfect electrolyzer Ellis-Chalmers Company (USA) used the technology of thermal elements (Fig.1). The main feature of such electrolyzer is nickel porous electrodes with high specific surface. Gas emission from the opposite surfaces of electrodes happens with minimum polarization effect. Each cell of the device consists of two porous nickel electrodes covered with platinum catalyst and separated with thin asbestos matrix [1].




Fig. 1. Construction of Ellis-Chalmers electrolyzer's final cell.

1 – cathod; 2 – botton; 3 – O₂ cavity; 4 – H₂ cavity; 5 – bipolar plate; 6 – anode; 7 – asbestos matrix; 8 – cushion.

With the purpose to increase the efficiency of electric power generation it is possible to raise water level 1.5 times with simultaneous increase of water waterlogging value without water consumption increase in overground irrigation channels. The power of worked out electric energy and the volume of received hydrogen is proportionally increased. In order to provide the above said at water level increase when micro hydrostation is arranged in the channel and to avoid water overflow the water carrying chute is closed on this section with arch-form hood made of polymer material (Fig.2) which is attached to chute borders with inner rail secured with nuts, while for pressurization the possible clearances are filled with special foam. It is also possible to install both overground, and underground channel chutes a flexible polymer pipe, the height of which exceeds chute border height by 0.5-0.7 m which analogously to the above said will protect the channel from

water overflow and will make the precondition for increase of micro hydrostation power and produced hydrogen volume.




Fig. 2. Engineering drawing of water conduit chute.

1 – chute; 2 – longitudinal polymer hood; 3 – rod; 4 – nut; 5 – support; 6 – ground.

The shape of micro hydrostation encasement is conditioned by the profile of the channel where micro hydrostation is considered to be arranged. The number of aggregates on the given section is determined according to water consumption in the channel. Micro hydrostations are operating in parallel regime and their powers are summed up to facilitate the creation of micro energy system. Manufacture of various power micro stations by Georgian patents [2, 3] is possible at Tbilaviamsheni works.

The possibility of water level rise in channels can also be used for irrigation of slopes above channel mark and for arranging the water hydroaccumulation reservoirs at higher mark. The water accumulated there in case of need could be used for many purposes.

It also should be noted that in Zestafoni on the river Kvirila a headworks for water supply for irrigation channels is constructed which can be used for construction of small hydro electric stations. Its presumable power may be 8-10 MgW. As there already exist a number of attributes necessary for hydrostations construction, time for redeeming and energy cost will be comparatively less than in usual conditions.

3. Conclusion

Practical realization of the problems presented in the work allows to work out not only surplus electric power, but to receive pure hydrogen in amounts that can make the product exportable. At the same time the project will contribute to realize the employment program.

References

1. Handbook. Hydrogen – properties, production, storing, transportation, using. Edit. by D.Yu.Hamburg and N.F.Dubovkin. Moscow: Chemistry. 1989.
2. Georgian Patent. I.Gabrichidze, A.Gelutashvili, N.Tevzadze. Portable micro power station. Pat. #P2151. 1998.
3. Georgian Patent. I.Gabrichidze, A.Gelutashvili, N.Tevzadze. Hydro agent. Pat. # U779.2000

მადნეულის სპილენძ-ოქროს საბადოს მადნიანი კონკრეციები

წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ფ. მაისაძის მიერ

რეზიუმე: მადნეულის სპილენძ-ოქროს საბადოს მადნიან კონკრეციებს ახასიათებს დისკრეტული გავრცელება. ისინი საბადოს სინგენეტიკურ მადნეულ სხეულებთან ერთად გეოლოგიურ ჭრილში იკავებენ გარკვეულ სტრატეგრაფიულ დონეს, რომელიც ახალი პალეონტოლოგიური მონაცემების საფუძველზე მიეკუთვნა *Reinhardtites anthophorus*-ის ნანოპლანქტონურ ქვეზონას (CC 22c). საბადოს სხვადასხვა ნაწილში მოპოვებულ კონკრეციებს ახასიათებს მსგავსი კონცენტრულ-ზოლებრივი აღნაგობა და მადნეული მინერალების ერთნაირი შედგენილობა. შემცველი ტუფების ფურცლოვანი შრეებრიობა თაღისებრად არის შემოხვეული კონკრეციების ირგვლივ. მადნიანი კონკრეციების წარმოქმნა სავარაუდოდ მოხდა სინგენეტიკური მადნიანი სხეულების და შემცველი ქანების ფორმირების თანადროულად, ამ ქანების სრულ დიაგენეტიკურ გამკვრივებამდე.

საკვანძო სიტყვები: მადნეულის საბადო, მადნიანი კონკრეციები, ნანოპლანქტონი.

1. შესავალი



რამაზ მიგინეიშვილი,
აღ.ჯანელიძის გეოლოგიის
ინსტიტუტი, გეოლოგიურ-
მინერალოგიურ
მეცნიერებათა კანდიდატი

მადნეულის სპილენძ-ოქროს საბადო მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ბოლნისის მადნიან რაიონში. კავკასიის ტექტონიკური ზონალობის მიხედვით (გამყრელიძე, 1997), ბოლნისის მადნიანი რაიონი განლაგებულია შავი ზღვისა და ცენტრალური კავკასიის ტერეინის ართვენ-ბოლნისის სუბტერეინში, რომელიც ჩამოყალიბდა ევრაზიის კონტინენტის აქტიური კიდის სტრუქტურის ფარგლებში.

მადნეულის საბადოს კონკრეციები სათანადოდ არ არის შესწავლილი. მცირე ინფორმაცია მათ შესახებ მოიპოვება ი. ნაზაროვის ნაშრომში (1966).



თამარ ლავთაძე,
აღ.ჯანელიძის გეოლოგიის
ინსტიტუტი, გეოლოგიურ-
მინერალოგიურ მეცნიერე-
ბათა კანდიდატი

წინამდებარე ნაშრომში განიხილება მადნეულის საბადოს მადნიანი კონკრეციების სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებები, მინერალოგია, კონკრეციების შემცველი შრეების სტრატეგრაფიული პოზიცია საბადოს ჭრილში და მათი წარმოშობის საკითხები.

2. ძირითადი ნაწილი

მადნეულის საბადოს გეოლოგიური ჭრილი ძირითადად აგებულია რიოდაციტური შედგენილობის ტუფების შრეებით. ისინი ქმნიან დამრეცი ფრთების მქონე გუმბათოვან ნაოჭა სტრუქტურას.

უხემ- და წმინდამარცვლოვანი სქელშრეებრივი ტუფის მორიგეობა (დასტა 1) საბადოს ჭრილში იკავებს ქვედა სტრატეგრაფიულ დონეს და შეიცავს ლინზისებრი ფორმის კაჟმიწით მდიდარ სხეულს (ე.წ. მეორეულ კვარციტს), რომელიც ხასიათდება მკვეთრი კონტაქტით გადამფარავ ქანებთან. ამ სხეულში ზემოდან ქვემოთ შემდეგი მინერალური ზონებია დადგენილი: კვარც-ოპალის, კვარც-სერიციტის და კვარც-სერიციტ-ქლორიტის (Гогішვილი, 1980).

აღნიშნულ ქანებზე უთანხმოდაა განლაგებული ბრექჩია-კონგლომერატული შლეიფი (დასტა 2), რომელიც შეიცავს ტუფის და აგრეთვე აღნიშნული კაჟმიწით მდიდარი სხეულის ეროზიის შედეგად წარმოქმნილ კლასტებს. აღნიშნება როგორც დაკუთხული, ასევე დამრგვალებული კლასტები. მათი ზომა ვარიირებს 1მმ-დან 1მ-მდე, უპირატესად გავრცელებულია 1-10 მმ-ის ზომის კლასტები. ზოგჯერ ამ ქანის ცემენტში სჭარბობს წმინდამარცვლოვანი ტუფი, ზოგჯერ კი – სერიციტის აგრეგატი (კვარცის მცირე რაოდენობით). შლეიფში აგრეთვე აღნიშნება ტუფის შუაშრეები (2-3 მ-მდე სიმძლავრის). შლეიფის მაქსიმალური სიმძლავრე 45 მ აღწევს.

აღმავე ჭრილს აგრძელებს თხელშრეებრივი წმინდამარცვლოვანი ტუფი (დასტა - 3). ამ დასტის სიმძლავრე მადნეულის გუმბათის თხემიდან პერიფერიისაკენ 120 მეტრამდე იზრდება. იგი შეიცავს კაჟმიწით მდიდარ (კვარცი-ოპალი-მცირე სერიციტი) ანუ “მეორეული კვარციტის” მეორე სხეულს, რომელიც ხასიათდება სტრატეგორმული მორფოლოგიით და თანხმობით მკვეთრი კონტაქტებით ქვეშდებარე და მომყოლ ქანებთან. კაჟმიწით მდიდარი სხეულის მაქსიმალური სიმძლავრე 80 მ-ია, ხოლო ლატერალური გამწეობა აღწევს 340 მეტრს.

ამგვარად, ამ საბადოზე არსებობს კაჟმიწით მდიდარი ორი სხეული, რომელთაც უჭირავთ განსხვავებული სტრატეგრაფიული დონეები. სავარაუდოა, რომ ქვედა სხეული წარმოიქმნა ზღვის ფსკერის ლოკალური ჰიდროთერმული შეცვლის შედეგად, ხოლო ზედა – ფსკერზე აკუმულირებული ამორფული კაჟმიწის გადაკრისტალეების შედეგად (Migineishvili, 2000; 2002). მათში მცირე რაოდენობით აღნიშნება აგრეთვე ქალცედონი, ალუნიტი, კოლინიტი, პიროფილიტი და იაროზიტი. ორივე სხეული წარმოიქმნა გამაღნების პროცესამდე, ზოგი მინერალი (ალუნიტი, იაროზიტი და სხვ.) წარმოიქმნა უფრო მოგვიანებით, როგორც მადანმომიჯნე მეტასომატური წარმონაქმნი.

სტრატეგრაფიულად ზემოთ შიშვლდება სქელშრეებრივი, წმინდა და საშუალომარცვლოვანი ტუფის დასტა (დასტა - 4). იგი შეიცავს პიზოლითური ტუფების იშვიათ შუაშრეებს (ძირითადად გუმბათოვანი სტრუქტურის თალურ ნაწილში). დასტის სიმძლავრე დაახლოებით 70 მეტრია.

საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს რიოდაციტური ექსტრუზიული სხეული, რომლის ეფუზიური “ენა” ფარავს მეოთხე დასტის ქანებს, ხოლო საგებში შეიცავს დინების ბრექჩიას. ამ სხეულში გამოიყოფა წმინდამარცვლოვანი ტუფის შუაშრე (დასტა 5).

რიოდაციტური შედგენილობის იგნიმბრიტის ზეწარი (სიმძლავრე დაახლოებით 90 მ) აგვირგვინებს საბადოს ჭრილს. მისი საგები უსწორმასწოროა და უთანხმოდაა განლაგებული მეოთხე დასტის ქანებზე. იგნიმბრიტი უმადნოა, მაგრამ შეიცავს კაჟმიწით მდიდარი სხეულების იშვიათ ქსენოლითებს (Гугушვილი и Омиадзе, 1988).

საბადოზე აღინიშნება სუბგანედური და სუბმერიდიანული (ძირითადად) ლოკალური რღვევები, რომელთა გასწვრივ გადაადგილება რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს. ამას გარდა, აქ ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართების სიღრმეული რღვევის არსებობაა ნავარაუდები (Migineishvili 2002).

საბადოს ქვემოთ, ზედაპირიდან 800–900 მეტრის სიღრმეში ჭაბურღილით დადგენილია გრანოდიორიტ-პორფირული და კვარც-დიორიტ-პორფირული ინტრუზიული სხეულის არსებობა.

საბადო მოიცავს ეპიგენეტიკურ და სინგენეტიკურ მადნეულ მინერალიზაციას. ამათგან პირველი შეიცავს სპილენძის და ოქროს მარაგის უმეტეს ნაწილს და წარმოდგენილია ძარღვეულ-ჩანაწინწკლი და ბრეჭიული ტიპის მადნებით. ბრეჭიული მადნები გავრცელებულია საბადოს შუა და, ძირითადად, ზედა დონეებზე და წარმოდგენილია აგრეგატით, რომლებშიც კაჟმიწით მდიდარი სხეულების დაკუთხული ნატეხები შეცემენტებულია მადნით. ეპიგენეტიკური მადნეული მინერალიზაცია ძირითადად განლაგებულია კაჟმიწით მდიდარ სხეულებში, რაც გამოწვეულია ამ სხეულის ამგები ქანების მაღალი სიხისტით და ნაპრალოვნებით. ამასთან, კაჟმიწით მდიდარი ქვედა სხეული უპირატესად შეიცავს კვარც-პირიტ-ქალკოზინ-კოველინ-ქალკოპირიტული შედგენილობის მადანს, ხოლო ზედა, კაჟმიწით მდიდარი სხეული, შეიცავს კვარც-პირიტ-ბარიტ-სფალერიტ-ქალკოპირიტ-გალენიტური შედგენილობის მადანს. ეს არის მადანწარმოშობის ერთიანი პროცესის მინერალოგიური ზონალობა.

საბადოს სინგენეტიკური მადნეული მინერალიზაცია შედარებით მცირე მასშტაბისაა და განლაგებულია ეპიგენეტიკური მადნიანი ზონის თავზე. აქ აღინიშნება ბარიტული ქვიშის, ფოროვანი კვარც-ბარიტული, ზოლებრივი კვარც-ბარიტული, მასივური ბარიტ-სფალერიტ-პირიტული შედგენილობის სინგენეტიკური სტრატეგორმული სხეულები.

საბადოზე დადგენილია ოქროს ორი გენერაცია (Гелейшвили, 1990): (1) ადრეული ოქრო, რომელიც თანადროულია ძირითადი სულფიდებისა და (2) გვიანი ოქრო, რომელიც წარმოიქმნა ძირითადი სულფიდების შემდეგ და წარმოდგენილია ხალასი ოქროთი. ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია იშვიათი ლითონების ჯგუფის მინერალებთან (სულფობისმუტიტებთან და ტელურიდებთან) და აგრეთვე მოცისფრო-მონაცრისფრო კვარცის ძაფისებრ ძარღვაკებთან, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული კაჟმიწით მდიდარ სხეულებში.

კონკრეციების გავრცელების სტრატეგრაფიული დონე, სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებები და მინერალოგია

საბადოს დეტალური სტრუქტურულ-ლითოლოგიური აგეგმვის პროცესში კარიერის აღმოსავლეთ ნაწილში 1070 მ სიმაღლის ჰორიზონტზე დავაფიქსირეთ 7-8 მ სიმძლავრის წმინდამარცვლოვანი ტუფის შრენარი, რომელიც შეიცავს მრავალრიცხოვან კონკრეციას, რომელთა შორის ზოგიერთი მადნიანია. ეს შრენარი მიეკუთვნება წინა თავში აღწერილი ქანების მეოთხე დასტის ქვედა ნაწილს. კონკრეციების გავრცელების არეალი აქ გაიდევნება რამდენიმე ათეულ მეტრის მანძილზე. ი. ნაზაროვმა (1966) საბადოს დეტალური გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებისას პირველ და მეორე შტოლნებში (შესაბამისად 1011 მ და 1040 მ ჰორიზონტებზე საბადოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) და აგრეთვე მესამე შტოლნში (937 მ ჰორიზონტზე საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) დააფიქსირა მადნიანი კონკრეციები, რომლებსაც შეიცავდნენ დანაოჭებული, დაფიქლებული და გათიხებულ ტუფები. კარიერული წესით, ექსპლუატაციის შედეგად საბადოს ეს ნაწილი დღეს უკვე გამოუმუშავებულია, მაგრამ აღნიშნული


შტოლნების სტრუქტურულ-ლითოლოგიური გეგმების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონკრეციების შემცველი ეს ტუფებიც თავისი სტრატეგრაფიული მახასიათებლებით ასევე მიეკუთვნება მეოთხე დასტის ქანებს.

ბოლო დროს, მადნეულის საბადოს შემცველ ქანებში, აღმოვაჩინეთ ნანოპლანქტონური კომპლექსები, რომლებიც სისინგის (Sissingh, 1977) მიერ შემუშავებული ცარცული ნანოპლანქტონის ბიოზონალობის სქემის მიხედვით შეესაბამება კამპანური სართულის ორ ბიოსტრატეგრაფიულ ერთეულს: 1. Ceratolithoides aculeus-ის ზონას (CC 20) და 2. Reinhardtites anthophorus-ის ქვეზონას (CC 22c).


პირველი დასტის ტუფები შეიცავს Ceratolithoides aculeus-ის ზონის (CC 20) ნანოფოსილიების კომპლექსს: Ceratolithoides aculeus, Zeughrabdotos embergeri, Calculites obscurus, Prediscosphaera cretacea, P. columnata, C. verbeekii, Lucianorhabdus cayeuxii, L. maleformis, Lithastrinus grillii, Micula decussate, Quadrum gartneri. ეს ზონა წარმოადგენს ქვედა კამპანურის ზედა ნაწილს და შეესაბამება დროის მონაკვეთს Ceratolithoides aculeus-ის გაჩენიდან Uniplanarius(=Quadrum) sissinghii-ის გაჩენამდე.

Uniplanarius (=Quadrum) trifidus-ის, Reinhardtites anthophorus-ის, R. levis-ის და Eiffellithus eximius-ის თანაარსებობა მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე დასტებში მიუთითებს Uniplanarius(=Quadrum) trifidus-ის (CC 22) ზონის Reinhardtites anthophorus (CC 22c) ქვეზონის არსებობაზე. ეს ქვეზონა წარმოადგენს ზედა კამპანურის ქვედა ნაწილს და შეესაბამება დროის ინტერვალს R. levis-ის გაჩენიდან R. anthophorus-ის გადაშენებამდე.

კონკრეციების შემცველი შრენარი წარმოდგენილია შედარებით მკვრივი და ფხვიერი წმინდამარცვლოვანი ტუფის შრეების მორიგეობით. ფხვიერ ტუფში აღინიშნება ფურცლოვანი შრეებრიობა, რომელიც საერთო შრეებრიობის პარალელურია. კონკრეციები განლაგებულია ფხვიერი ტუფის შრეებში. საყურადღებოა ფურცლოვანი შრეებრიობის და კონკრეციების ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც კანონზომიერ ხასიათს ატარებს. კერძოდ, ფურცლოვანი შრეებრიობა თალისებრად არის შემოხვეული კონკრეციების ირგვლივ (ნახ. 1). გარდა კონკრეციებისა, ფურცლოვან ტუფებში აღინიშნება შედარებით მტკიცე ტუფის ლინზები, რომელთა გრძელი ღერძი შრეებრიობის პარალელურია. კონკრეციები ელიფსოიდური ფორმისაა. მათი ზომა ვარიირებს 2-20 სმ ფარგლებში.



ნახ. 1. კონკრეციების განლაგება ტუფის შრენარში. 1 – შედარებით მკვრივი ტუფი; 2 – შედარებით ფხვიერი ტუფი და მისი ფურცლოვანი შრეებრიობა; 3 – მადნიანი კონკრეცია



ნახ. 2. მადნიანი კონკრეციის კონცენტრულ-ზოლებრივი აღნაგობა გარდიგარდმო ჭრილში. მუქი ლაქები და წერტილები შეესაბამება მადნეული მინერალების გამონაყოფებს ტუფის მატრიცაში

მე-2 ნახ-ზე გამოსახავს ჩვენ მიერ მოპოვებული ერთ-ერთი მადნიანი კონკრეციის აღნაგობას. კონკრეციის მატრიცა თავისი შედგენილობით არ განსხვავდება შემცველი ქანისაგან და წარმოდგენილია წმინდამარცვლოვანი ტუფით. მადნეული მინერალები მასში გვხვდება წვრილი და შედარებით მსხვილი ჩანაწინწკლების სახით და წარმოდგენილია პირიტით, სფალერიტით და იშვიათად, გალენიტით. სფალერიტში აღინიშნება ქალკოპირიტის ემულსიური ჩანართები. წვრილი ჩანაწინწკლები, ძირითადად, პირიტის იდიომორფულ კრისტალებს წარმოადგენს, ხოლო შედარებით მსხვილ გამონაყოფებში აღინიშნება ქსენომორფული პირიტის და სფალერიტის აგრეგატები. გალენიტი ასოციაციაშია როგორც პირიტთან, ისე სფალერიტთან და ორივე მინერალთან ქმნის შენაზარდებს. მადნეული მინერალების ჩანაწინწკლები კონკრეციაში კონცენტრულ-ზოლებრივ ტექსტურას ქმნის. კონკრეციის ცენტრალურ ნაწილში ძირითადად პირიტის წვრილი ჩანაწინწკლებით აგებული დაახლოებით 2X2 სმ-ის ზომის უბანია განლაგებული. მადნიანი ჩანაწინწკლების შემდეგი ზოლი ვიწრო (2-3 მმ) რგოლის სახეს ატარებს. მადნეული ჩანაწინწკლების გარეთა ზოლი დაახლოებით 1 სმ-ის სიგანისაა. აღსანიშნავია, რომ ი. ნაზაროვის (1966) მიერ მოპოვებული კონკრეციები ასევე კონცენტრულ-ზოლებრივი აღნაგობისა და წარმოდგენილია წმინდამარცვლოვანი სფალერიტის და კოლომორფული პირიტის ზოლების მორიგეობით.

3. დასკვნა

მადნიანი კონკრეციები განსახილველ საბადოზე სარგებლობს დისკრეტული გავრცელებით და საბადოს ჭრილში იკავებს გარკვეულ სტრატეგრაფიულ დონეს – შემცველი ქანების მეოთხე დასტის უპირატესად ქვედა ნაწილს. ახალი პალეონტოლოგიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ეს დონე შეესაბამება Reinhardtites anthophorus-ის ნანოპლანქტონურ ქვეზონას (CC 22c).

საბადოს სხვადასხვა ნაწილში მოპოვებულ კონკრეციებს ახასიათებს მსგავსი კონცენტრულ-ზოლებრივი აღნაგობა და მადნეული მინერალების ერთნაირი შედგენილობა.

საბადოს კონკრეციებს და სინგენეტიკურ მადნეულ სხეულებს ახასიათებს მადნეული მინერალების თითქმის იდენტური მინერალური შედგენილობა. გარდა ამისა, ორივე წარმონაქმნი

საბადოს ჭრილში ლოკალიზებულია ერთსა და იმავე სტრატეგრაფიულ დონეზე – მეოთხე დასტის ქანებში.

შემცველი ტუფების ფურცლოვანი შრეებრიობა თაღისებრადაა შემოხვეული მადნეულის საბადოს კონკრეციების ირგვლივ. კონკრეციების შესწავლის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, მკვლევარებს შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ამგვარი მორფოლოგიის წარმოქმნის მექანიზმის ასახსნელად. დღესაც ბევრი მიმდევარი ჰყავს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას (Newberry, 1873), რომ ამგვარი მორფოლოგია წარმოიქმნება მაშინ, როცა კონკრეციების ზრდა მიმდინარეობს ნაწილობრივ კონსოლიდირებული სედიმენტების გარემოში, მათი საბოლოო გამკვრივებამდე და კონსოლიდაციამდე (ანუ სრულ დიაგენეტიკურ გარდაქმნამდე), რომელიც იწვევს თავად სედიმენტების, მაგრამ არა უკვე მაგარი კონკრეციების დეფორმაციას. სხვა, ასევე გავრცელებული მოსაზრების თანახმად (Tarr, 1921), თაღისებრი მორფოლოგია არის შედეგი სედიმენტების დალექვისა იმ დროისათვის უკვე არსებულ კონკრეციაზე, რომელიც კვლავ აგრძელებს ზრდას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ზემოდან დალექილი სედიმენტის დეფორმაციას. პირველი მოსაზრება არსებითად გულისხმობს კონკრეციების ფორმირებას დიაგენეზის ადრეული სტადიაზე, ხოლო მეორე – სედიმენტების სინგენეტიკურად. კონკრეციების სინგენეტიკური წარმოშობის ერთ-ერთ ინდიკატორად აგრეთვე მიჩნეულია, რომელიმე რეგიონის მასშტაბით, მათი სივრცობრივი კავშირი ერთ რომელიმე სტრატეგრაფიულ დონესთან.

ზემოთ აღწერილ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მადნეულის საბადოს კონკრეციების წარმოქმნა სავარაუდოდ მოხდა სინგენეტიკური მადნიანი სხეულების და მეოთხე დასტის ქანების ფორმირების თანადროულად, ამ ქანების სრულ დიაგენეტიკურ გამკვრივებამდე, სინგენეტიკურ-ადრედიაგენეტიკურ სტადიაზე.

ლიტერატურა

1. ე. გამყრელიძე (1997). კავკასიის და მისი მოსაზღვრე არეების ტერენები. საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, 155 (3). 422-426.
2. Gamkrelidze E. (1997) Caucasus and Bull. Acad. Sci. Georgia, 155, 3, 422-426, 1997 (in Georgian)
3. Гелеишвили В.И. (1990). Золотоносность Грузии. Дисс на соиск. учен. спетени д.т.н. Тбилиси. -394с.
4. Гогишвили В.Г. (1980). Метасоматическая зональность на колчеданно-полиметаллических месторождениях Кавказа // Сов. геология, 4. С.86-98.
5. Гугушвили В.И., Омиадзе Г.И. (1988). Ингибирующий вулканизм и оруденение (на примере Болнисского рудного района, Малый Кавказ) // ГРМ XXX (2). С.105-109.
6. Назаров Ю.И. (1966). Особенности формирования месторождений медно-колчеданной формации Южной Грузии. М.: Недра. 227с.
7. Migineishvili R. (2000). Formation of a volcanic-hosted massive sulfide deposit in a shallow water setting: the Madneuli Cu-Au deposit, Georgia. In: *Gemmell JB, Pongratz J (eds) Volcanic environments and massive sulfide deposits. CODES Special Publication 3:123-125.*

8. Migineishvili R (2002) A possible model of formation for the Madneuli copper-gold deposit. Proceedings of the Geological Institute of the Georgian Academy of Sciences, New series 117: 472-479
9. Newberry J.S (1873) Geological structure of Ohio Devonian System. Ohio Geol. Surv. Rep., 1: 140-167
10. Sissingh W (1977) Biostratigraphy of Cretaceous calcareous nannoplankton. Geologie en Mijnbouw 56(1):37-65
11. Tarr W.A. (1921) Syngenetic origin of concretions in shale. Bull. Geol. Soc. Am., 32: 373-384

UDC 552.124.4:553.411'435

R. Migineishvili, T. Gvartadze

ORE CONCRETIONS OF THE MADNEULI CU-AU DEPOSIT

Presented by F. Maisadze, corresponding-member of the Georgian National Academy of Sciences

SUMMARY: Ore concretions of the Madneuli copper-gold deposit are characterized by a discrete distribution. They occupy a definite stratigraphic level in the geological section of the deposit. On the basis of new paleontological data this level is assigned to Reinhardtites anthophorus nannoplankton Subzone (CC 22c). Concretions from different parts of the deposit are characterized by a concentric-banded structure, as well as by the same content of ore minerals. Thin lamination of hosting tuffs arch-like overwrap the concretions. Formation of the concretions presumably occurred contemporaneously with syngenetic ore bodies, as well as with hosting rocks, before a complete compaction of these rocks.

KEY WORDS: Madneuli deposit, ore concretions, nannoplankton

1. Introduction

The Madneuli copper-gold deposit is located in the southeast part of Georgia, in the Bolnisi ore district. According to tectonic zoning of the Caucasus (Gamkrelidze, 1997), the Bolnisi ore district is situated in the eastern part of the Artvin-Bolnisi subterranean of the Black Sea-Central Caucasus terrane. The Artvin-Bolnisi subterranean was formed within the active margin of the Eurasian continent

Concretions of the Madneuli deposit are insufficiently studied. Poor information about them is given by Nazarov (1966).

This contribution discusses structural-textural peculiarities and mineralogy of the ore concretions, stratigraphic level of hosting layers in the geological section of the deposit, as well as origin of their formation.

2. The Body

Geological section of the Madneuli deposit is mainly built of tuff strata of rhyodacitic composition. They form a dome fold structure with gently dipping limbs.

An alternation of coarse- and fine-grained thick-layered tuffs (package 1) occupies the lower stratigraphic level in the deposit section and hosts a lenticular silica-rich body (so-called “secondary quartzite”), which is characterized by sharp contact with overlapping rocks. In this body, the following zones are identified from top to bottom: quartz-opal, quartz-sericite, and quartz-sericite-chlorite (Gogishvili, 1980).

A breccia-conglomerate apron (package 2) unconformably overlaps the above-noted rocks and contains tuff clasts, as well as those generated as a result of the above-noted silica-rich body erosion. Clasts are angular and rounded. Their sizes vary from 1mm to 1m, but the most common range is 1-10mm. Sometimes its matrix is dominated by fine-grained tuffs, and sometimes by sericite (with minor quartz) aggregate. Within the apron, some tuff interlayers (up to 2-3m in thickness) are also observed. The Apron’s maximum thickness reaches 45m.

Thin-layered fine-grained tuffs (package 3) follow this section upward. Thickness of this package increases from the top to the peripheries of the Madneuli dome (up to 120 m). It contains second silica rich (quartz-opal-minor sericite), i.e. “secondary quartzite” body characterized by a stratiform morphology and by sharp conformable contacts with both underlying and following rocks. Maximum thickness of this silica-rich body is 80 m, and lateral extension reaches 340 m.

Thus, at this deposit there are two silica-rich bodies occupying distinct stratigraphic levels. Presumably, the lower one appeared as a result of sub-seafloor local hydrothermal alteration, whereas the upper one has been formed as a result of recrystallization of amorphous cherts accumulated on the seafloor (Migineishvili, 2000; 2002). They also contain minor chalcedony, alunite, kaolinite, pyrophyllite and jarosite. Formation of both silica-rich bodies precedes ore-forming process, but some minerals (alunite, jarosite, etc.) may have been formed later as near-ore metasomatites.

Stratigraphically higher thick-layered fine- and medium-grained tuffs (package 4) are exposed. They contain rare interlayers of pisolitic tuffs (mainly at the dome top) (as well as ore-bearing (sphalerite-pyrite) concretions). The package thickness is about 70 m.

In the south-eastern part of the deposit, there is a rhyodacitic extrusive body. Its effusive “tongue” conformably overlays package 4 and has in its sole a flow breccia. An interlayer of fine-grained tuffs (package 5) is distinguished within this body.

An ignimbrite cover (thickness about 90 m) of rhyodacitic composition caps the deposit. Its sole is characterized by a ragged morphology and unconformably overlies the package 4. The ignimbrite is ore-free, but contains scarce xenoliths of silica-rich bodies (Gugushvili and Omiadze, 1988).

There are Sublatitudinal and submeridional (mainly) local faults at the deposit. Relative movements along them reach several tens of meters. Besides that, existence of a deep-seated northeast trending fault is inferred here (Migineishvili 2002).

Beneath the Madneuli deposit, 800-900 metres in depth from the present day surface, there is an intrusive body of granodiorite-porphry and quartz-diorite-porphry composition.

This deposit contains both epigenetic and syngenetic portions of ore mineralisation. The former holds the most part of the Cu-Au reserve and is presented by both vein-disseminated and breccia-type ores. Breccia ores occupy the middle and mainly the upper levels of the epigenetic ore zone where the angular bits of the silica-rich bodies are grouted with the ore. Epigenetic ore mineralisation is mainly dispositioned in silica-rich bodies, that is caused by high fragility and fissuring of these bodies. The lower silica-rich body contains mostly quartz-pyrite-chalcosine-covellite-chalcopyrite ore, whereas the upper one contains a quartz-pyrite-barite-sphalerite-chalcopyrite-galena assemblage. This is a reflection of a mineralogical zoning in a common ore-forming process.

Syngenetic ore mineralisation of the deposit is comparatively small in scale and is situated on the top of epigenetic ore zone. Here, syngenetic stratiform orebodies are observed the following composition: barite sand, porous-spongy quartz-barite, banded quartz-barite, massive barite-sphalerite-pyrite.

At the deposit two generations of gold are established (Geleishvili, 1990): (i) early fine gold coeval with main sulphides, and (ii) later gold formed after the main sulphides. The latter one is presented by native gold in close association with rare-metal group minerals (sulfobismuthites and tellurides), as well as with (1-2 mm thick) veinlets of bluish-greyish thread-like quartz widespread in silica-rich bodies.

Stratigraphic level of concretion distribution, structural-textural peculiarities and mineralogy

In the course of a detailed structural-lithological mapping of the deposit in the eastern part of the open-pit at level of 1070m horizon, we have fixed tuff strata of 7-8m thickness hosting numerous concretions, some of which are ore-bearing. These strata belong to the lower part of the fourth package described in the previous chapter of this paper. The area of concretion distribution here is traced at several metres' distance. In the course of detailed exploration of the deposit Nazarov (1966) discovered ore concretions in the first and the second edits (at 1011m and 1040m horizons correspondingly in the north-western part of the deposit), as well as in the tenth edit (937m horizon in the south-eastern part of the deposit). As a result of the open-pit operation, this part of the deposit is abandoned, but on the basis of structural-lithological plan documentation of the adits we can conclude that the concretion-bearing tuffs by their stratigraphic position belong to the fourth package of rocks.

Recently in the hosting rocks of the Madneuli deposit we revealed nannoplankton complexes. According to Cretaceous nannoplankton biozonation of Sissingh (1977), they correspond to the following two Campanian floor biostratigraphic units: (1.) *Ceratolithoides aculeus* Zone (CC 20) and (2.) the *Reinhardtites anthophorus* Subzone (CC 22c).

Tuffs of the first package contain a complex of nannofossils of the *Ceratolithoides aculeus* Zone (CC 20): *Ceratolithoides aculeus*, *Zeughrabdodus embergeri*, *Calculites obscurus*, *Prediscosphaera cretacea*, *P. columnata*, *C. verbeekii*, *Lucianorhabdus cayeuxii*, *L. maleformis*, *Lithastrinus grillii*, *Micula decussate*, *Quadrum gartneri*. This Zone is the Upper part of the Lower Campanian and corresponds to a time interval from the first appearance of *Ceratolithoides aculeus* until the first appearance of *Uniplanarius (=Quadrum) sissinghii*.

Coexistence of *Uniplanarius (=Quadrum) trifidus*, *Reinhardtites anthophorus*, *R. levis* and *Eiffelithus eximius* in the rocks of the second, third, fourth and fifth packages shows the Reinhardtites anthophorus Subzone (CC 22c) of the Quadrum (=Uniplanarius) trifidus Zone (CC 22) existence here. This Subzone is the lower part of the Upper Campanian and corresponds to a time interval from the first appearance of *R. levis* until extinction of *R. anthophorus*.

Concretion-bearing stratum is presented by an alternation of comparatively strong and comparatively friable fine-grained tuff layers. Comparatively friable tuffs are characterized by a thin lamination being parallel to general bedding. Regularity in interrelation between the fine lamination and concretion is noteworthy. In particular, thin lamination is wrapping around the concretions arch-wise (Fig. 1). Besides the concretions, comparatively strong tuff lenses are observed thinly laminated tuffs of tuffs, long axes of which are also parallel to general bedding. Concretions have ellipsoidal shapes. Their sizes vary within the range of 1 – 20 centimeters.




Fig. 1. Concretion in tuff strata. 1 – Comparatively strong tuff; 2 – Comparatively friable tuff and its thin lamination; 3 – Ore concretion.

Figure 2 depicts structure of one of the ore concretions collected by us. Concretion matrix does not differ from hosting rocks and is presented by fine-grained tuffs. There are both minute and comparatively large ore impregnations in this matrix, which are presented by pyrite, sphalerite and minor galena. Sphalerite contains emulsive inclusions of chalcopyrite. Minute impregnations are mainly presented by idiomorphic pyrite crystals, whereas comparatively large ones consist of an aggregation of anhedral pyrite and sphalerite. Galena associates with both pyrite and sphalerite. Ore impregnations form a concentric-banded structure of concretion, in the central part of which there is a small area (2x2cm) with pyrite minute impregnations. Next area of ore impregnations has a form of a narrow (2-3mm) ring. The outer band of the impregnations is 1 cm wide. It should be noted, that concretions described by Nazarov (1966) also are characterized by concentric-banded structure represented by alternating fine-grained sphalerite and colloform pyrite.




Fig. 2. Concentric-banded structure of the Madneuli concretion in a cross-section. Dark spots and dots correspond to ore impregnations in a tuff matrix.

3. Conclusions

Ore concretions of the Madneuli copper-gold deposit are characterized by a discrete distribution. They occupy a certain stratigraphic level in geological section of among the rocks mainly of the lower part of the fourth package. On the basis of new paleontological data this level corresponds to Reinhardtites anthophorus nannoplankton Subzone (CC 22c).

Concretions from different parts of the deposit are characterized by a concentric-banded structure and identical consistence of ore minerals.

Concretions and syngenetic ore bodies of the Madneuli deposit are characterized by identical consistence of ore minerals. Besides that both of them are localized at the same stratigraphic level of the fourth package rocks.

Thinly laminated hosting tuffs are arch-wise wrapped around the concretions. Despite the long history of concretion study, the issue on formation mechanism of such morphological feature remains disputable. Even today is widely accepted the old interpretation of Newberry (1873) that such morphological forms occur when concretions grow in partially consolidated sediment conditions before their complete compaction and consolidation (i.e. untill complete diagenetic transformation) that cause deformation the sediments but not the rigid concretions. According to another widely accepted opinion the preexisted concretion body (Tarr, 1921) morphology occurs as a result of sediment precipitation, on arching further growing. It goes on the first opinion actually infers formation of concretions at an early stage of sediment diagenesis, whereas the second implies the stage of syngensis. Spatial association of concretions to a definite stratigraphic level in a scale of separate region is recognized to be one of the indicators of their syngenetic origin.

Based on the above described material we can conclude that formation of the concretions presumably has occurred with syngenetic ore bodies, as well as with hosting rocks of the fourth

package simultaniously before the complete diagenetic compaction of these rocks at the syngenetic-early diagenetic stage.

REFERENCES

1. Gamkrelidze E. (1997) Terrains of the Caucasus and its adjacent areas. Bull. Acad. Sci., Georgia, 155, 3, 422-426, 1997 (in Georgian)
2. Gamkrelidze E. (1997) Caucasus and Bull. Acad. Sci. Georgia, 155, 3, 422-426, 1997 (in Georgian)
3. Geleishvili V.I. (1990), Gold mineralisation of Georgia. Unpublished Science Doctor's thesis, Tbilisi. 394 pp (in Russian)
4. Gogishvili V.G. (1980) Metasomatic zoning of the copper-pyrite deposits of the Lesser Caucasus. Soviet Geology, 4, p.p.86-98. (in Russian).
5. Gugushvili V.I., Omiadze G.I. (1988) Ignimbrite volcanism and ore mineralisation (Bolnisi Ore District, the Lesser Caucasus). Geol. Ore Deposits 30(2); p.p.105-109. (in Russian).
6. Nazarov Y.I. (1966) Peculiarities of formation of copper pyrite formations of Southern Georgia. Nedra, Moscow, p.p. 227 (in Russian)
7. Migineishvili R. (2000). Formation of a volcanic-hosted massive sulfide deposit in a shallow water setting: the Madneuli Cu-Au deposit, Georgia. In: *Gemmell JB, Pongratz J (eds) Volcanic environments and massive sulfide deposits. CODES Special Publication 3*; p.p. 123-125.
8. Migineishvili R (2002) A possible model of formation for the Madneuli copper-gold deposit. Proceedings of the Geological Institute of the Georgian Academy of Sciences, New series 117; p.p. 472-479
9. Newberry J.S (1873) Geological structure of Ohio Devonian System. Ohio Geol. Surv. Rep., 1; p.p. 140-167
10. Sissingh W (1977) Biostratigraphy of Cretaceous calcareous nannoplankton. Geologie en Mijnbouw 56(1); p.p. 37-65
11. Tarr W.A. (1921) Syngenetic origin of concretions in shale. Bull. Geol. Soc. Am., 32; p.p. 373-384

აკადემიკოს ბრიგოლ წულუკიძის დაბადებიდან 120 წელი



გამოჩენილი სამთო ინჟინერი და მეცნიერი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დარგში, ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ტექნიკური განყოფილების თავმჯდომარე და პრეზიდენტის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ ანტონის ძე წულუკიძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოში მრავალპროფილიანი სამთო მრეწველობის და სამთო მეცნიერების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

გრ. წულუკიძე დაიბადა 1889 წლის 17 (29) აპრილს, ქალაქ ქუთაისში, რკინიგზის მოხელის ანტონ წულუკიძის ოჯახში. დედა ელისაბედ მღვიანი დიასახლისი იყო და 12 შვილს ზრდიდა. ბატონი გრიგოლის მეუღლე ნინო წუწუნავა განათლებული ოჯახის შვილი იყო და თავის დროზე ასრულებდა სახალხო მასწავლებლის საპატიო მოვალეობას.

1906 წელს გრ. წულუკიძემ დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და მეგობრებთან ერთად ავსტრიაში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. 1911 წელს დაამთავრა ქ. ლეობენის უმაღლესი სამთო სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნდა. იმაჟამად რუსეთის იმპერიაში არსებული კანონის თანახმად, უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომის მფლობელს არ ეძლეოდა სახელმწიფო სამსახურში დასაქმების უფლება. ამიტომ გრ. წულუკიძე იძულებული შეიქმნა შესულიყო ქ. ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში, რუსეთის იმპერიის იმავე პროფილის, რიგით მეორე უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, პროფესორები: ლ. დინნიკი, მ. პროტოდიაკონოვი, ა. ტერპიგორევი, ლ. შვეიაკოვი, მ. ფიოდოროვი, ა. სპივაკოვსკი და სხვები.

1914 წელს გრ. წულუკიძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და 1917 წლამდე ეწეოდა პრაქტიკულ-საინჟინრო საქმიანობას გროზნოს ნავთობის სარეწების საზოგადოებაში ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ მმართველად. 1918 წელს გრ. წულუკიძე, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა ტყიბულის ნახშირის მომპოვებელ საწარმოებში ჯერ მმართველის მოდგილედ (ტექნიკურ დირექტორად), შემდეგ მმართველად.

გრ. წულუკიძემ ტყიბულში მუშაობისას გამოავლინა დიდი შემოქმედებითი და ორგანიზატორული უნარი და უზრუნველყო ტყიბულის საწარმოების მართვა-გამგეობის სრულყოფა და მათი რაციონალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბება. ბატონი გრიგოლი დიდ ყურადღებას უთმობდა საწარმოთა სამეურნეო, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ სრულყოფას, საწარმოო პროცესების უსაფრთხოებას, წარმოების ეკონომიკას და ორგანიზაციას, მუშების კეთილდღეო-

მეცნიერება

სსიპ

SCIENCE

ბასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რითაც ტყიბულელ მშრომელთა დიდი სიყვარული და მხარდაჭერა დაიმსახურა.

1922 წლის მარტში გრ. წულუკიძე დაინიშნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) ახლად ჩამოყალიბებული სამთო კომიტეტის (განყოფილების) თავმჯდომარედ. იმავე წელს თბილისში შეიქმნა ტყიბულ-შრომის გაერთიანებული საწარმო, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ ბატონი გრიგოლი გადაიყვანეს.

სმუს-ის სამთო კომიტეტში მუშაობის პერიოდში (1922-28 წწ.) განსაკუთრებით დიდი იყო გრ. წულუკიძის როლი ჩვენი ქვეყნის მეორე სამთო-მომპოვებელი რეგიონის ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის აღდგენა-განვითარების საქმეში. სწორედ მაშინ მოხდა ჭიათურის მრავალრიცხოვანი საწარმოების ნაციონალიზაცია (1923 წ.), რეგიონში ამერიკული ფირმის „ჰარიმანი და კომპანია“ შემოსვლა და აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მისი გაწვევა (1925-28 წწ.), ჭიათურის მარგანტრესტის დაარსება (1928 წ., 1 აგვისტო) და მანგანუმის მომპოვებელ-გადამამუშავებელი წარმოების აღდგენა-განვითარება (1928 წლის შემდეგ).

გრ. წულუკიძის ყურადღება წვდებოდა არა მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის საბადოებს, არამედ ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულით მდიდარ სხვა რეგიონებსაც. ბატონმა გრიგოლმა დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოში სპილენძის, ტყვიათუთის, ბარიტის, დარიშხანის, სახურავი ფიქლების, ცეცხლგამძლე ბენტონიტური თიხების, საამშენებლო მასალების, ოქროს, ვერცხლისა და სხვა საბადოების შესწავლას და სამრეწველო ათვისების პრობლემებს. მისი მხედველობის სფეროში მოექცა აგრეთვე ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის საკითხები.

